

-567
964



საქართველოს
თეატრალური
სამსახურის
გაზეთი

2 1964



ს თ ს

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მ ო ა მ ბ ე

აკრილი, მაისი, ივნისი

№ 2 (28)



19 თბილისი 64

რედაქტორი—მასო გომიაშვილი

პეგ. მღვიანი ლილი ლომთათიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გომიაშვილი,
ნ. გურაბანიძე, ო. ევაძე, დ. მჭედლიძე,
ბ. ელენტიანი, შ. მანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორაეა, დ. ჯანელიძე.

ამიერკავკასიის ხელოვანთა მარადიული მემოზრომა

მეგობრობის ღრმა ფესვები ასაზრდოვებენ საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთის ხელოვნების მუშაკებს.

საუკუნეთა და უამთა სიმრავლემ ეს მეგობრობა დღეობით შეჭკრა და შთამომავლობას ურღვევ ტრადიციად უანდერძა. ეს მეგობრობა თავისუფლებისათვის ბრძოლის მძიმე წლებში წარმოიშვა. იგი გამოიწვით დამოუკიდებლობისათვის, საკუთარი კულტურის შენარჩუნებისათვის უცხოელ ინტერვენტებთან ბრძოლაში.

აქ რესპუბლიკების მოწინავე თეატრალური მოღვაწეები სათუთად ინახავენ ამ მეგობრობას, რომლის შედეგად ვითარდებოდა ჩვენი ხალხების მოწინავე თეატრალური კულტურა.

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ამიერკავკასიის ხელოვანთა მეგობრობამ ახალი შინაარსი მიიღო. მათ სწორად წარმართეს თავიანთი შემოქმედება დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით და ახლა, არ არის კულტურის ისეთი დარგი, სადაც თავს არ იჩენდეს ამ ურღვევი მეგობრობის ნაყოფიერი შედეგები.

ამ მუდმივი მეგობრობის შედეგია ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ურთიერთ გამდიდრება, აღორძინება, აყვავება. ეს საშვილი-შვილო საქმე სამაგალითოდაა ცნობილი ჩვენს დიად სამშობლოში.

ამიერკავკასიის ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად შეკავშირებულნი არიან მშურ ოჯახში. ეს მეგობრობა განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ხალხთა ერთიანი ბრძოლით კომუნისმის მშენებლობის პირობებში.

გაიფურჩქნა და განმტკიცდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური

თეატრალური კულტურა. ამიერკავკასიის მოწინავე თეატრების შემოქმედებითი წარმატებები ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში. მათი სახელმწიფოებრივი მოღვაწეები თავიანთი შესანიშნავი შემოქმედებით ქმნიან მოწინავე რეალისტურ ხელოვნებას.

ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხთა თეატრალური ურთიერთობა მეგობრობისა და ურთიერთ პატივისცემის უმდიდრეს სურათს ქმნის. ამიტომაც, სრულიად კანონზომიერია ის გაერთიანებული პლენუმი, რომელიც ამიერკავკასიის თეატრალურ საზოგადოებათა ინიციატივით ჩატარდა ა. წ. 18 მაისს ქ. ერევანში.

პლენუმი, პირველყოვლისა, ჩვენი ხალხების სოლიდარობის დამადასტურებელი იყო; აქ ერთხელ კიდევ ნათლად გამომჟღავნდა ამიერკავკასიის თეატრალურ მოღვაწეთა დიდი ინტერესი და პატივისცემა მოძმე ხალხთა თეატრების შემოქმედებითი ცხოვრებისადმი. პლენუმი ნაციონალურ დრამატურგიაში მიღწევა-ნაკლოვანებათა ერთგვარი დათვალიერება იყო, მაღალ-მატერულ საბჭოთა დრამატურგიულ ქმნილებათა განსაზოგადოებლად.

პლენუმზე გამოთქმული იყო აზრი თანამედროვე დრამატურგიული ნაწარმოებების თემატიკურ თავისებურებებზე, ჩვენი პიესების ესთეტიკურ ნორმებზე, საბჭოთა დრამის კონფლიქტების მრავალსახეობებზე და საერთოდ იმ საკითხებზე, რაც თანამედროვე ეტაპზე აუმჯობესებს სარეპერტუარო პოლიტიკას.

პლენუმის მიზანი იყო აგრეთვე, კიდევ უფრო განმტკიცდეს ეს მეგობრობა და თანამშრომლობა, რაშიაც დიდი წვლილი შეაქვს კულტურის ფრონტის მოღვაწეებს.


საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გადიდებელი ამოცანა, შექმნას სრულფასოვანი

დრამატურგიული ნაწარმოებები და მთავარ-მხატვრული სპექტაკლები. ამისი დიდი ტრადიცია აქვს ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ დრამატურგთა და ხელოვანთა მძლავრ არმიას. ეს ტრადიციები ძვირფასია არა მარტო პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით, არამედ მათ აქვთ აგრეთვე ესთეტიკური ღირებულება: თეატრის საშუალებით ღრმა ანალიზი გავუკეთოთ ამ ხალხების დამახასიათებელ შინაგან ბუნებას, მათ ხასიათსა და ჩვევებს, მათ მისწრაფებებს.

პლენუმმა ამიერკავკასიის თეატრალური

ხელოვნების მოღვაწეებს დაუსახა კონკრეტული ღონისძიებები იმ დიდი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებსაც ჩვენი კომუნისტური პარტია, ხალხი და ცხოვრება გვიკარნახებს.

აქ რესპუბლიკების თეატრალურმა საზოგადოებებმა ერთობლივი ღონისძიებებით კიდევ უფრო მეტად უნდა განავითარონ და განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.



შექსპირისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად, 25 აპრილს მწერალთა სახლში მოაწყო დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის დაბადებიდან 400 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დედოფანთან, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა:

ქართული თეატრის დიდი შთაგონება იყო და არის შექსპირი, რომლის ტრაგედიები ივანე მაჩაბლის ბრწყინვალე თარგმნებით დამკვიდრდა ჩვენს სცენაზე. ქართულმა საბჭოთა თეატრმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა გენიალური ინგლისელი დრამატურგის ნაწარმოებთა მიმართ ჩვენ დროში; საბჭოთა პერიოდში შექსპირის არა ერთი პიესა დაიდგა საქართველოს თეატრებში.

დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობა და მათ რიცხვში საბჭოთა ხალხები, ზემოთ აღნიშნავს შექსპირის დაბადებიდან 400 წლისთავს. საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ამ დიდ თარიღს სპეციალური სამეცნიერო სესია მიუძღვნა.

დ. ანთაძე სიტყვას მოხსენებისათვის თემაზე: „შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება“ აძლევს პროფესორ გივი გაჩეჩილაძეს.

— ინგლისის სამეფოს შუაგულში, — თქვა გ. გაჩეჩილაძემ, — უორკშირის საგრაფოს პატარა ქალაქ სტრედფორდში, მდინარე ევონის ამწვანებულ ნაპირებზე დაიბადა აღორძინების ეპოქის ტიტანი უილიამ შექსპირი. გაღმოცემის თანახმად, ეს მოხდა 1564 წლის 23 აპრილს. „ევონის ნაზი გედი“, — ასე უწოდა მისმა თანამედროვემ ბენ ჯონსონმა შექსპირს. იგი მომავალში დროშად იქცა ჰემპარტების, სიკეთის, სილამაზისა და სიმართლისათვის ბუნებრივობისათვის ბრძოლაში. შექსპირი მუდამ იმართანა, ვისაც პროგრესი მოაქვს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შექსპირის შემოქმედება სამ ძირითად პერიოდად იყოფა:

პირველი პერიოდი 1590-601, მეორე — 1601-1608, ხოლო მესამე — 1608-1612 წლები. გენიალურ შემოქმედს სულ დაწერილი აქვს 37 პიესა, ორი პოემა და 154 სონეტი.

— შექსპირის შემოქმედებაში, — დაასკვნის მომხსენებელი, — გამოიხატა თავისი დროის ფეოდალური წყობილების ნგრევისა და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის წარმოსახვის სურათი. ხალხურ პოზიციაზე მდგარი დიდი რეალისტი თანაბარი უღმობელოებით ამხილებდა წარმავალსაც და ახლად აღმოცენებულის ნაკლსაც. დიდი ჰუმანისტის გადამწყვეტი მოტივი კაცობრიობის ნათელი მომავლის რწმენა და იმედი იყო.

შექსპირი გარდაიცვალა თავისი დაბადების დღეს — 1616 წ. 23 აპრილს.

მოხსენებით თემაზე: „არისტოტელეს „კათარზისი“ და ჰამლეტის ტრაგედია“ გამოვიდა დოც. ფ. გოკიელი. იგი შეეხო შექსპირის ტრაგედიებს და მათ შორის „ჰამლეტი“ ყველაზე მაღლა დააყენა.

— შექსპიროლოგები, — დასძინა ფ. გოკიელმა, — ერთხმად აღიარებენ, რომ ჰამლეტი შექსპირის უსაყვარლესი გმირია და სწორედ მის ბუნებაში ჩააქსოვა დიდმა მწერალმა საკუთარი ხასიათის მრავალი თვისება. შექსპირს ისე გულდასმით, როგორც „ჰამლეტზე“, არც ერთ მის სხვა პიესაზე არ უმუშავია.

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე „ჰამლეტის“ წარმოშობის ისტორიულ პირობებზე, ლეგენდაზე, რომლითაც შექსპირმა ისარგებლა ამ ტრაგედიის შესაქმნელად. ჰამლეტში, უპირველეს ყოვლისა, — თქვა ფ. გოკიელმა, — უნდა დავინახოთ ცოცხალი ადამიანი და არა რომელიღაც განყენებული საწყისის განსახიერება.

ჰამლეტი იღუპება არა ტრაგიკული მიზეზით, მისი სიკვდილი კიდევ უფრო ზემადღებულად და კეთილშობილურად ხდის მის ბრძოლას, შეურიგებლობას ბოროტებასთან. ბრძოლისა და ტანჯვის გზით მიუთითა ჰამლეტმა კაცობრიობას უკეთესი მომავლისაკენ. სწორედ ტრაგიკული განწყენდის, კატარზისის წყაროც ჰამლეტის ამ მორალურ დაუძლეველობაში უნდა ვეძიოთ, — დაასკვნა მომხსენებელმა.

— თანამედროვე შექსპიროლოგიური კვლევა-ძიება, — თქვა დოც. ნ. ყიასაშვილმა თავის მოხსენებაში „შექსპირისმცოდნეობა თანამედროვე ეტაპზე“, — ძირითადად წარმართება ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, შექსპირის ეპოქის, მისი თანამედროვეობის, იმდროინდელი ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა დეტალური შესწავლით, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ შექსპირის შემოქმედების, მის დრამებში ჩაქსოვილი ჰუმანისტური შინაარსის გარკვევის მიმართულებით.

ამ თემებზე დაწერილია ძალიან ბევრი შრომა როგორც შექსპირის სამშობლო ინგლისში, ისე სხვა ქვეყნებშიაც. ცნობილია, რომ შექსპირის ნაწარმოებთა სადასურობას ზოგი საექვოლაც ხდის, — სხვათა შორის, — დასძენს მომსენებელი, — 400 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ერთობ გააქტიურდნენ „ანტი-შექსპირისტები“, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქმის შექსპირის პიესების ავტორი სტრედფორდელი უილიამ შექსპირი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, არც ერთი სერიოზული მკვლევარი ამ აზრს არ იზიარებს. მაგრამ, — დასძენს მომსენებელი, — სანამ „ანტი-შექსპირისტები“ თავისებურად ერთობიან, გენიალური დრამატურგის სამშობლო ევონის — სტრედფორდი ზღაბრულად ზეიმობს თავისი სახელოვანი შეილის 400 წლისთავს. ამ იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა მრავალი წიგნი შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, დაიწერა მრავალი სტატია, თეატრში განხორციელდა შექსპირის თითქმის ყველა პიესა. მსოფლიოს მრავალ ენაზე შესრულებულია მისი უკვდავი ქმნილებების თარგმანი, რაც ახალი შინაარსის ფურცელს ჩასწერს უილიამ შექსპირის გენიალურ შემოქმედების შესწავლის ისტორიაში.

თავის მოხსენებაში „შექსპირი რევოლუციამდელ საქართველოში,“ თეატრმცოდნე ლ. გუგუზავამ ილაპარაკა იმაზე თუ რამდენად გავრცელებული იყო დიდი მწერლის დრამები მაშინდელ საქართველოში. როგორც ცნობილია, — აცხადებს მომსენებელი, — შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ ჯერ კიდევ 1873 წელს დაიდგა სოფელ ბანძაში ნიკო დადიანის თაოსნობით. შემდეგ, — დასძენს ლ. გუგუზავა, — შექსპირის დრამები და კომედიები სისტემატურად იდგმებოდა საქართველოში და უდიდესი პოპულარობითაც სარგებლობდნენ ისინი.

რეჟისორმა მიხ. გიციმურელმა სესიის დამსწრეთ მოუთხოო შექსპირის პიესების დადგმებზე ქართულ საბჭოთა თეატრში.

დიდმა ქართველმა რეჟისორებმა, — თქვა მან, — კოტე მარჯანიშვილმა და ალ. ახმეტელმა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში განახორციელეს შექსპირის ტრაგედიები ქართულ სცენაზე. მათ შემდეგ ზედინზედ დგამენ ჩვენში „ოტელოს“, „ჰამლეტს“, „რიჩარდ III-ს“, „მეფე ლირს“, „ჭირვეულის ცოლის მორჯულებას“, „რომეო და ჯულიეტას“, „ანტონიოსი და კლეოპატრას“ და სხვებს.


შექსპირის პიესებში გაიფურჩქნა გამოჩენილი ქართველი მსახიობების: უშანგი ჩხეიძის, გ. დავითაშვილის, ვ. ანჯაფარაძის, თ. ქავჭავაძის, ავ. ხორავას, ავ. ვასაძის, ალ. იმედაშვილის, ვ. გომიაშვილის, ს. თაყაიშვილის, მედეა ჯაფარიძის და მრავალ სხვათა ნიჭი და უნარი.

— შექსპირის სიდიადის ერთი შესანიშნავი თავისებურებაა — განაცხადა მწერალმა ვ. ქელოძემ თავის მოხსენებაში „შექსპირი და მახაბელი“, — ის არის, რომ ყველგან, რომელ ქვეყანაშიაც კი თარგმნიან შექსპირს, ეს დრამატურგი ამ ხალხის მწერალი ხდება და იქცევა საკუთარ ეროვნულ მოვლენად. გასული საუკუნის საქართველოს ისეთი დიდებული მთარგმნელი მოველინა, როგორიც იყო ივანე მაჩაბელი.

როგორც ცნობილია, — დასძინა ქელოძემ, — შექსპირის პიესები მაჩაბლამდევ ბევრს უთარგმნია ქართულად, მაგრამ ნამდვილი — თავისი დიდი ცხოვრებისეული მღელვარებით შექსპირი პირველად მაჩაბელმა განაცდევინა ქართველ მკითხველსა და მასურებელს. ივანე მაჩაბლის სახელი შექსპირთანაა დაკავშირებული, რადგან მან მოგვცა აღორძინების დროის უდიდესი მწერლის სწორუბოვარი, ისეთი თარგმანები, როგორიც მაშინ ბევრს დიდსა და განათლებულ ქვეყნებსაც არ გააჩნდათ. ამას ადასტურებს ქართული ენის მცოდნე თვით ინგლისელი ლიტერატორი უორდროპი. — იბადება კითხვა, ხომ არ დაძველდა მაჩაბლისეული თარგმანი? — ამბობს ვ. ქელოძე, — არა, არა და კიდევ არა! მაჩაბლისეული თარგმანი იყო, არის და დარჩება, როგორც ერთერთი ბრწყინვალე თარგმანი. მაჩაბელმა არა მარტო თარგმნა შექსპირი, არამედ მან ქართული სულიც ჩააბერა მის უკვდავ ქმნილებებს.

თემაზე: „შექსპირი ბალეტში“ ილაპარაკა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ე. გუგუშვილმა. მან თქვა: ბალეტმეისტრებს და კომპოზიტორებს არა ერთხელ უცდიათ შეექმნათ მუსიკალური ქორეოგრაფიული პარტიტურები შექსპირის ნაწარმოებთა მიხედვით, მაგრამ არც ერთი ცდა არ გამხდარა მსოფლიო საბალეტო თეატრის კუთვნილებად. შექსპირული საბალეტო სპექტაკლის შექმნის პრობლემა წარმატებით გადაჭრა მხოლოდ საბჭოთა თეატრმა, და გადაჭრა იგი სწორედ შექსპირის ტრავედის მასალაზე.

ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. ლავროვსკის დადგმით, სსრ კავშირის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ალ. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“, — და სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის დადგმითა და მისივე შესრულებით თვალსაჩინო ადგილს დაიკავებენ მსოფლიო ქორეოგრაფიის ისტორიაში.



კოზაარის სამშობლოში

უკრაინის თეატრალურმა საზოგადოებამ ა. წ. 4-10 მაისს ჩაატარა დიდი კოზაარის, ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 150 წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო პლენუმი.

უკრაინის თეატრალური საზოგადოების გამგეობამ ამ დღესასწაულზე საქართველოდან მიიწვია ჩვენი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე რესპ. სახ. არტისტი დ. ანთაძე და რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნ. შალუტაშვილი.

პლენუმი ჩაატარეს ტ. შევჩენკოს სამშობლო ქ. ჩერკასში; იგი ორ დღეს (5 და 6 მაისს) გაგრძელდა. საიუბილეო პლენუმზე მოხსენებებით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მ. იოსიპენკო („შევჩენკო და თეატრი“), შევჩენკოს თეატრალურ რეცენზიებზე ილაპარაკა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ი. ვოლოშინმა.

დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ლ. სტეცენკოს მოხსენება თემაზე „შევჩენკოს ნაწარმოებები უკრაინულ სცენაზე“, მოსკოვის მცირე თეატრის მუზეუმის გამგის ე. მასლისის მოხსენება „შევჩენკო და მცირე თეატრის ხელოვნება“ და თეატრმცოდნე ი. პისკუნის— „შევჩენკოს სახე სცენაზე და კინოში“. მალალი შეფასება დაიმსახურა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ვ. კუდინის მოხსენებამ შევჩენკოს ესთეტიკურ შეხედულებათა შესახებ. პოეტმა ქალმა ლ. ზაბაშტამ წარმატებით წაიკითხა ნაწყვეტი შევჩენკოსადმი მიძღვნილი საკუთარი პოეზიიდან.

მღელვარებით და გრძნობით მიმართა დამსწრეებს უკრაინულ ენაზე ბელორუსიის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ სსრკ სახ. არტისტმა ლ. ალექსანდროვსკაიამ. შინაარსიანი მოხსენებით თემაზე „ბელორუსიის კულტურა და შევჩენკო“ გამოვიდა ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი პ. ოხრიშენკო.

თავის სიტყვაში რესპ. სახ. არტისტმა დ. ანთაძემ მოიგონა 1914 წლის შევჩენკოს დღეების აღნიშვნა საქართველოში, სადაც დიდმა მგოსანმა აკ. წერეთელმა მოწიწებით

დაიჩოქა ტარასის ბიუსტის წინ. ამ სიტყვას დარბაზი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. ეს ტაში,—თქვა დ. ანთაძემ,—ორი მოძმე ხალხის მეგობრობის გამოვლინების ღირსშესანიშნავი ფაქტიაო.

მოხსენებაში, „შევჩენკო და საქართველო“ დოც. ნ. შალუტაშვილმა ხაზი გაუსვა იმ იდეურ ერთიანობას, რომელიც აკავშირებდა უკრაინულ და ქართველ ხალხთა მოწინავე შოღვაწეებს.

მან აღნიშნა, რომ ტ. შევჩენკო არ ყოფილა საქართველოში, მაგრამ ბევრი რამ იცოდა მის შესახებ როგორც გამოჩენილი რუსი პოეტების ნაწარმოებებიდან, ისე პირადი ნაცნობობით კავკასიაში მყოფ ოფიცრებთან და თვით ქართველ მოღვაწეებთან უთრეიტობის შედეგად, რომლებსაც ის პეტერბურგში და შუა აზიაში ყოფნის დროს ხვდებოდა.

მან პირველმა მიაქცია ყურადღება არა მხოლოდ კავკასიის ეკოტიკას არამედ ხალხის მძიმე ხვედრს, რომელშიაც მათ ცარიზმი აყენებდა.

მოხსენებელმა ყურადღება მიაქცია აკ. წერეთლის შეხვედრას ტ. შევჩენკოსთან პეტერბურგში 1860 წ., ილაპარაკა იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რომელიც ამ შეხვედრამ მოახდინა აკ. წერეთელზე. ნ. შალუტაშვილმა მსმენელთ მოუთხრო ტ. შევჩენკოს ნაწარმოებების გავრცელებაზე საქართველოში, იმ როლზე რომელსაც ამ მხრივ ასრულებდა უკრაინაში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა.

მანვე თქვა, რომ პირველი თარგმანები ტ. შევჩენკოს ნაწარმოებებისა ი. ჭავჭავაძის „იერიკოში“ დაიბეჭდა. დიდი ქართველი მწერალი ყოველმხრივ უწყობდა ხელს დიდი კოზაარის ნაწარმოებების პოპულარიზაციას საქართველოში, რადგანაც ქართველ თერგდალეულთა პოლიტიკური და ესთეტიკური პროგრამა ემთხვეოდა ტარას შევჩენკოს შეხედულებებს.

ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის აკავშირებდა უკრაინისა და საქართველოს მოწინავე ადამიანებს. ამის საუკეთესო მაგალითია ის იუბილეები, რომლებიც, მეფის მთავრობის ყოველგვარი წინა-

აღმდგომის მიუხედავად, ტარდებოდა საქართველოში. 1908 წ. ბაქოში აკ. წერეთლის იუბილეზე უკრაინელთა დელეგაციამ მიართვა ტარასის პორტრეტი ესა და „კობზარი“ აკაკის უყვარდა, მათ სამუშაო ოთახიდან არ იშორებდა.

1914 წ. მთავრობის რეპრესიების მიუხედავად, ქართველი სტუდენტობა უკრაინელებთან ერთად მონაწილეობდა კიევსა და სხვა ქალაქებში შევჩენკოს დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნაში. საქართველოში ბევრმა გაზეთებმა და ჟურნალებმა მიუძღვნეს მას სავანგებო სტატიები და წერილები, დაბეჭდეს მისი ნაწარმოებთა თარგმანები. ცენზურული პირობების გამო ტ. შევჩენკოს ნაწარმოებები არ დადგმულა ქართულად, მაგრამ სავასტროლოდ მყოფ უკრაინელ მსახიობთა მეშვეობით ქართველობა მაინც იცნობდა ტარასის „ნაზარ სტოდოლიას“ და იმავე პოეტის პოემების ინსცენირებებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტ. შევჩენკოს ნაწარმოებებს

საქართველოში ფართე გზა მიეცა. საუკეთესო ქართველმა პოეტებმა თარგმნეს შევჩენკოს ლექსები და პოემები და კრებულების სახით გამოსცეს ჩვენში. ფართოდ აღინიშნა ყველა საიუბილეო თარიღები, მიძღვნილი დიდებული კობზარის ხსოვნისადმი, გამოიცა გამოკვლევები და მრავალი სტატია. ქართველმა პოეტებმა, კომპოზიტორებმა და მხატვრებმა თავიანთი ნაწარმოებები უძღვნეს იუბილარის ხსოვნას.

ჩერკასში საიუბილეო სესიის დამთავრების შემდეგ, მასპინძლებმა სესიის მონაწილეები მიიწვიეს სოფ. მორინცში, სადაც შევჩენკო დაიბადა, კირილოვკაში, სადაც იგი სწავლობდა და მოჯამაგირებოდა სოფლის დიაკვნის სახლში.

7 მაისს სტუმრებმა გვირგვინებით შეამკეს ტარასის საფლავი კანევში და დაათვალიერეს მისი მუზეუმი. დასასრულს დიდი წარმატებით ჩატარდა შევჩენკოს ნაწარმოებებიდან შემდგარი სალამო-კონცერტი.

სამიერკავკასიის თეატრალური მუშაკთა კლენუმი

ერევანში 18 მაისს გაიმართა სამი მოძმე რესპუბლიკის—საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის თეატრალურ მოღვაწეთა გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმის მუშაობის ძირითად საკითხს თანამედროვე ქართული, სომხური და აზერბაიჯანული დრამატურგიის მდგომარეობა შეადგენდა.

პლენუმი ვახსნა სომხეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, პროფ. ვ. ვართანიანმა. სომხეთის კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. შაგინიანმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც დაუსაზ ჩვენი პარტიის ივლისის პლენუმმა ხელოვნების მუშაკებს. აგრეთვე რაც ამ მხრივ სომხეთის შემოქმედებითა მუშაკებმა გააკეთეს. აღნიშნულის შედეგად სომეხ დრამატურგთა შემოქმედების ცენტრში დადგა საბჭოთა ადამიანი, თანამედროვეობის ზნეობრივი პრობლემები.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ქლენტი. ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, — აღნიშნა მან, — რომ სამი მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეები შეევიკრიბეთ, ხათა გაერთიანებული ძალებით ვიმსჯელოთ რთულ შემოქმედებით საკითხებზე, ერთად გადავწყვიტოთ საერთო საკითხები, ვიზრუნოთ ჩვენი ხელოვნების წინსვლისათვის და განვაძტკიცოთ ჩვენი ხალხების ისტორიული მემკობრობა.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე საბჭოთა ხელოვნების დღევანდელ მდგომარეობას და აღნიშნა ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვა ხელოვნებისა და ლიტერატურის სწორად განვითარებისათვის; რომ პარტიისა და მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოცენდა ესთეტიკური კულტურის ახალი დამახასიათებელი მხარეები, სახელდობრ ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაიზარდა თანამედროვე თემატიკის ხვედრითი წონა.

ბუნებრივია, — განაგრძობს ბ. ქლენტი, რომ

ჩვენი პლენუმი დაინტერესებულია დრამატურგიისა და რეპერტუარის საკითხებით, რადგან რეპერტუარია სწორედ თეატრის საფუძველი და მისი შემოქმედებითი მიმართულების განმსაზღვრელი.

შეეხო რა ქართული თეატრის რეპერტუარს, ორატორმა აღნიშნა, რომ იგრძნობა მკვეთრი შემობრუნება თანამედროვე თემატიკისაკენ. ჩვენი თეატრალური ხელოვნება, — განაგრძობს მომხსენებელი, — ახლა აღსავსეა საბჭოთა ადამიანის მიღიარო სულიერი სამყაროს ჩვენებისათვის ბრძოლის პათოსით. ჩვენი თეატრების მოღვაწეები და დრამატურგები ახალი ნაწარმოებებით ეხმარებიან პარტიისა და ხალხის მოწოდებას, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ჩვენს თეატრალურ ხელოვნებაში უკვე ყველაფერი რიგზეა.

რაოდენობის მხრივ ქართული თეატრების რეპერტუარში თანამედროვეობის თემატიკას მოწინავე ადგილი უჭირავს; მაგრამ ხელოვნებაში რაოდენობა არასოდეს არ ყოფილა გადაწყვეტი ფაქტორი; თანამედროვეობის თემზე შექმნილი მრავალი პიესა ჯერ კიდევ მთელი სიღრმით ვერ ასახავს ჩვენი დღეების მოვლენებს.

ამ პიესებს გააჩნიათ როგორც პროფესიული ღირსებები, ისე ნაკლოვანებანიც. ძირითადი ნაკლი იმ დრამატურგიული პროდუქციისა, რომელიც დამკვიდრდა დღეს ჩვენი თეატრების სცენაზე არის ის, რომ ვერც ერთ ამ პიესაში ვერ ნახავთ ისეთ დიდ განზოგადოებულ მხატვრულ სახეებს, დიდ ადამიანურ ისეთ ხასიათებს, რომლებიც შესძლებდნენ ალგებზნოთ, ჩვენი ხალხი, ახალგაზრდობა, დიდი საგმირო საქმეებისათვის. ვფიქრობ, ეს მხოლოდ ჩვენთან არ არის. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რესპუბლიკაშიც.

ქართველ მაყურებელს რომ კითხოთ, თუ რომელ სპექტაკლებს თვლის იგი ქართული სასცენო ხელოვნების მიღწევათ, უსათუოდ დაგისახებლებენ: „ოლიდპოს მეფეს“, „რიჩარდ

III, „მედლა“, „ბახტრონი“, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დაასახელებთ თანამედროვე თემატიკაზე შექმნილ ვერც ერთ სპექტაკლს, რომელშიც ისევე იქნებოდა ნაჩვენები ქართული სცენის ოსტატების მდიდარი შესაძლებლობები, როგორც ამ სპექტაკლებში.

გვაქვს პოპულარული სპექტაკლები, რომლებიც იზიდავს მსაყურებელს, აცინებს მათ, მაგრამ მათში არ არის ნათელი სახეები, ღრმა აზრები. ამიტომ ჩვენს პლენუმზე ლაპარაკი უნდა იყოს არა მხოლოდ დრამატურგის მდგომარეობაზე და მწერლის ამოცანებზე, არამედ, უმთავრესად, თეატრალური ხელოვნების ამოცანებზე. საჭიროა, რომ თეატრებმა და მათმა მოღვაწეებმა შეიგარბნონ, რომ მათ უსათუოდ უნდა გააჩნდეთ მკვეთრი პოზიციები; უნდა მოვეუწოდოთ საბჭოთა თეატრის მოღვაწეებს, რომ მათ ღრმად ჩაწვდნენ ჩვენი ეპოქის სულს, გამოხატონ ჩვენი დროის პრობლემები და ამის ასახვაში დაინახონ თავიანთი ძირითადი მოვალეობა. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ საჭირო წარმატებებს; უნდა ვეცადოთ, რომ საბჭოთა სცენაზე ისე აყვარდეს საბჭოთა თემატიკა, როგორც წარსულის თემატიკა უღერს. არ უნდა დავიწყოთ, რომ თეატრები სწორედ მაშინ აღწევდნენ სრულყოფას, როდესაც ისინი თავისი დროის ცხოვრებით ცოცხლობდნენ და ამაში პოულობდნენ შთაგონების მთავარ წყაროს.

უნდა შეექმნათ დიდი სიღრმისა და ზემოქმედებითი ძალის სპექტაკლები, ვიზრუნოთ უნდა იზისათვის, რომ ერთმანეთს დაუახლოვოთ ჩვენი ნაციონალური ხელოვნებები, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ და ჩვენი საქმიანობით განეახორციელოთ ის დიდი იდეალები, რომლისკენაც მოგვიწოდებს პარტია, ჩვენი დიდი დღევანდელი დღე.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. კარაევი. მან დაახასიათა აზერბაიჯანული დრამატურგის მდგომარეობა და თქვა, რომ ჩვენშიც იგივე სურათი გვეშლება, როგორც საქართველოში ყოფილათ;

თანამედროვე თეატრის აქტუალურ საკითხებზე ილაპარაკეს: სომხეთის თეატრალურმა კრიტიკოსმა არუთინიანმა, აზერბაიჯანის რუსულ დრამატულ თეატრის დირექტორმა ს. იაკუშვიტმა და საქ. სსრ დამსახურებულმა მოღვაწემ ოთარ ევანქმე.

ო. ევანქმე თავის გამოსვლაში მდგომარეობა, რომ თეატრის რეჟისორები არა იშვიათად გაუბრბან თანამედროვე დრამატურგიას და კლასიკას ამჯობინებენ, მაგრამ აქაც ისინი შედეგებს კი არ არჩევენ, არამედ ნაკლებ მნიშვნელოვან პიესებს, რომ, ამ მხრივ, სამწუხაროდ, განსაკუთრებით გამოირჩევა დიდი ტრადიციების მქონე შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. მომხსენებელმა თქვა, რომ ბოლო დროს ჩვენი რეჟისორები დიდ ტილოებს არჩევენ მცირე ფორმის ნაწარმოებებს, რის გამოც გასწორდა პოეზიის, ნოველების და ბალეტების საღამოები. ეს გარემოება ყველას აღშფოთებს, მაგრამ, სამწუხაროდ, პიესა დუმს. პრესას კი, — დასძენს მომხსენებელი, — შეუძლია თეატრის შველა.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დ. ჯანელიძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ თეატრმა უნდა იბრძოლოს თავისი ნაციონალური დრამატურგის შესაქმნელად, რომ ნაციონალური დრამატურგისათვის ზრუნვა თვითველ მსახიობსა და რეჟისორისათვის მთავარი ამოცანა უნდა იყოს. იგი იზიარებს ს. არუთინიანის აზრს იმის თაობაზე, რომ ამჟამად თეატრის მოღვაწეებში გულგრილობაა და ისადაგურა, მწერლებს კვლავინდებურად აღარ შესტივად გული თეატრისათვის, მსახიობები კი ლიტერატურით არ ინტერესდებიან. ამ ტრადიციის შესუსტებამ შექმნა გულგრილობა და ამის წინააღმდეგ გემართებს ბრძოლა. დ. ჯანელიძე შეეხო ცრუნოვატორობის საკითხს თეატრალურ ხელოვნებაში და აღნიშნა, რომ არ შეიძლება ფარდის მოხსნა, პიესის ერთ მოქმედებაში ჩვენება, მსახიობის გადმოყვანა სცენიდან დარბაზში, ნოვატორობად მივიჩნიოთ; მან თქვა, რომ ზოგიერთმა ახალგაზრდა რეჟისორმა ცუდად გაიგო თავისი მისია; ასეთთა წარმოდგენით სტანისლავსკი თანამდებობაა და თუ ისინი ასეთ ადგილზე დანიშნეს, მათ ყველა ის უფლებები აქვთ, რომლებიც კი სტანისლავსკის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს გააჩნდათ.

არა, — აღნიშნავს ორატორი, — ახალგაზრდა რეჟისორებმა ჯერ ბევრი უნდა ისწავლონ იმ ოსტატებისაგან, რომლებიც მათ თეატრში დახვდნენ და ანგარიში უნდა გაუწიონ იმ მალე ტრადიციებს, რომლებიც თეატრში შექმნილია დღემდე და რითაც სამართლიანად ამაყობს ქართული თეატრალური ხელოვნება.

საქ. სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ თავისი გამოსვლა თეატრისათვის მეტად მტკივნეულ საკითხს — მსახიობის ადგილს დღევანდელ თეატრში, — მიუძღვნა. მან გულის ტკივილით აღნიშნა, რომ თეატრის ბატონ-ბატრონი მსახიობი და მისი ცოცხალი სიტყვა წავიდა თეატრიდან. მაშასადამე თეატრიდან წავიდა სიხარული; მის ნაცვლად დამკვიდრდა მოწყენილობა. არ შეიძლება, — აღნიშნავს ორატორი, — მსახიობის ნაცვლად სპექტაკლში რადიომიის სიხარული განაცდევინოს მაყურებელს, რომელსაც მას ანიჭებდა ლალო მესხიშვილის, სირანუშის და რ. ნერსესიანის თამაში. ჩვენი დიდი რეჟისორები სტანისლავსკი, მეერხოლდი, ვახტანგოვი ზრდიდნენ მსახიობებს, ეხმარებოდნენ მათ და ამიტომაც იქმნებოდა დიდი ხელოვნება. ამას ჩვენს რეჟისორები ვეღარ ახერხებენ და ამიტომაც ჩვენს თეატრებში დიდი შემოქ-

მედება თანდათან სუსტდება. ცხადია, რომ ბევრი გვყავს ნიჭიერი მსახიობი, მაგრამ მათ შემოქმედებას აკლია ის, რაც ალელვებს და აანთებს მაყურებელს. ამის მიზეზი ისაა, რომ ისინი დაკავებულნი არიან ყველაფრით, გარდა თეატრისა. მონაწილეობენ რადიო და ტელეგადაცემებში, თეატრი კი უყურადღებოდ რჩებათ. ცხადია, თეატრი ხდება მოსაწყენი; აი აქაა მიზეზი, რომ თეატრიდან წავიდა მაყურებელი. ამ საკითხებს უნდა დაფიქრება და შველა, რომ ჩვენი საყვარელი საქმე — თეატრი გადავარჩინოთ.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც უპასუხეს წამოჭრილ საკითხებს და დასახეს რიგი ღონისძიებები როგორც რესპუბლიკებს შორის შემოქმედებით კონტაქტის ზრდისათვის, ისევე თეატრის მტკივნეულ საკითხებზე.

სამეცნიერო სესია

სასცენო მეტყველების საკითხების ფართო საზოგადოებრივი განხილვის მიზნით მეთოდურმა საბუთმა ა. წ. 27-28 აპრილს გამართა პირველი სამეცნიერო სესია.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ანთაძემ, რომელიც მოკლედ შეეხო მეთოდური საბუთის საკმიანობას და აღნიშნა, რომ თეატრალურ საზოგადოებას მეთოდური საბუთის მუშაობა მეტად სერიოზულ და საჭირო საქმედ მიაჩნია. უკანასკნელ პერიოდში დიდი ადგილი დაეთმო ენის კულტურის საკითხს, მთელი საბუთთა კავშირის მამულებით. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამაც, პრეზიდიუმის დადგენილებების შესაბამისად, ჩამოაყალიბა ეს საბუთი, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი სასიქაღლო ენათმეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი. მეთოდურ საბუთს სულ ერთი წლის ისტორია გააჩნია. საქართველოს თეატრალური საზოგადოება ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რათა მეთოდურმა საბუთმა ნორმალურ პირობებში წარმართოს თავის მუშაობა და გაამართლოს ჩვენი საზოგადოებრიობის იმედები.

პირველი მოხსენება თემაზე: „ქართული სალიტერატურო ენის ორთოეპია და სასცენო მეტყველება“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა. მოხსენებელმა თქვა:

ქართული სალიტერატურო ენის ორთოეპია—(მართლმეტყველება), რომელთანაც მჭიდრო კავშირშია სასცენო მეტყველების ნორმები, დღემდე არაა მეცნიერულად გაშუქებული.

უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენ არ გვაქვს საგანგაშო მდგომარეობა. გვხვდება მხოლოდ ცალკეული შეცდომები. პირადად მე რუსული სახელმძღვანელოების ავტორი ვახლავართ და დიდი პროპაგანდისტად ვარ რუსული ენისა, მაგრამ წინააღმდეგ

ვარ ენობრივი აღრევისა. თუ ლაპარაკობთ რუსულად, ილაპარაკეთ რუსულად, თუ მეტყველებთ ქართულად, ილაპარაკეთ ქართულად. მეორე ენა ჩვეულებრივ საუბარში აზიანებს პირველს ე.ი. თქვენ რომ ატარებთ, (რეჟისორებს და მსახიობებს) მოვახსენებ, რეპეტიციებს ქართულ თეატრში, ჩაატარეთ ქართულად. მეტყველება არის ჩვენი აზროვნების გამოვლინება, ასე, რომ აზროვნება და მეტყველება განუყოფელი არიან. ისინი სხვადასხვა მოვლენები არიან, მაგრამ მეტყველება ძირითადად არ შორდება აზროვნებას.

ქართული ენა თავისებურებით,—განაგრძობს მომხსენებელი, დიდად განსხვავდება ყველა ცნობილი ევროპული ენებისაგან. ისტორიულად ქართულმა ენამ განიცადა ნაკლები ცვლილება ვიდრე ბევრმა სხვა ენამ. თქვენ ვერ ნახავთ მეორე ისეთ ენას, რომლის 6-7-საუკუნის წინათ დაწერილი ძეგლები დღესაც ისე გასაგები იყოს, როგორც ქართული ენისა. ამას მეცნიერებაში ვუწოდებთ კონსერვატულობას არა იმ თვალსაზრისით, რომ უკან იხედო, არამედ შენახვის, გამძლეობის თვალსაზრისით; არ დარღვეულა ჩვენი ენა და იგი დღესაც ასრულებს საერთო ეროვნულ ენის როლს. ამიტომ არის, რომ ისე მწვავედ არ ისმის ქართული წარმოთქმის დარღვევის საკითხი, როგორც რუსეთში რუსული წარმოთქმისა. ჩვენ ვლაპარაკობთ ქართულად ისე, როგორც იწერება, მაგრამ მთლიანად ეს ასე არ არის მაგ. ითქმის მიზღვეს; იწერება მისდევს ზ უსათუოდ შეიცვლება; ეს კანონზომიერებაა. ქართული სცენა, სწორი ნათქვამის დანერგვისაც უნდა ემსახუროს.

მოხსენებელი შეეხო კუთხური მეტყველებას სცენაზე და დასძინა: კუთხური მეტყველება სცენაზე, რა თქმა უნდა, სრულიად დასავლობია, მაგრამ როდესაც უნდა დაახასიათოთ გარეეული კუთხის წარმომადგენელი, ეს ოდნავ დასაშვებია. საერთოდ კი კუთხურ მეტყველებას სცენაზე უნდა ვერიდოთ; თქვენ რათა

მაყურებელს ასიამოვნოთ, ვააცინოთ, და ვაახალისოთ ამისათვის, რა თქმა უნდა, დამახინჯებული მეტყველება არ არის საჭირო.

მოსხენება თემაზე: „დრამატული ნაწარმოების ენა“ ვააკეთა პროფესორმა შ. ძიძიგურმა. მან ილაპარაკა მეტყველების პრობლემებზე, შეჩერდა დრამატურგიის სტილზე, ყურადღება გაამახვილა დრამატულ ნაწარმოებში პერსონაჟთა მეტყველების საკითხზე და სთქვა: როგორი უნდ იყოს დრამატურგის ენობრივი პოზიცია იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების პერსონაჟი დიალექტიკური სამყაროს წარმომადგენელია? პერსონაჟის ენა ცოცხალი მეტყველების ანარეკლი უნდა იყოს. საზოგადოების სხვადასხვა ფენას ენაში შეაქვს სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები. პერსონაჟის ენაში, იმისდამხედველთ, თუ რა სოციალური და პროფესიული წრის წარმომადგენელია ნაწარმოების გმირი, უნდა ჩანდეს ეს სპეციფიკა, მაგრამ აქ საგულისხმოა შემდეგი გარემოება: როდესაც ვლაპარაკობთ მწერლობის ენის ხალხურობის შესახებ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საჭიროა ხალხური პოეტური ენის არა უბრალოდ განმეორება, არამედ ამ მასალის სტილისტური დამუშავება და დახვეწა. დასავლობია პოეტური ენის ფორმირება ხალხური სიტყვიერების უბრალო იმიტაციის გზით. ქართული პოეტური კულტურის ტრადიცია გვიკარნახებს, რომ მხატვრული ნაწარმოები არ იქნეს დაყვანილი ხალხური შემოქმედების სტრუქტურულ ნიშნებამდე. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა მწერლის პოეტური აზროვნება ხალხურია და არა ფოლკლორული. ამრიგად, მკაცრად უნდა იქნეს ერთმანეთისაგან გამიჯნული ხალხურობა და ფოლკლორულობა, ესენი სხვადასხვა ცნებებია.

პერსონაჟის მეტყველებას, — განავრძო მომსენებელმა, — უთუოდ უნდა ჰქონდეს შენარჩუნებული ხალხური კოლორიტი. შეუძლებელია, დრამატული ნაწარმოების გმირის მეტყველებას არ ემჩნეოდეს კვალი იმ ტერიტორიული დიალექტისა, რომლის წარმომადგენელიც ის არის. შესაბამისად ამისა, შეუძლებელია ამა თუ იმ გმირის მეტყველება არ იყოს შეფერული ეთნოკულტურული იმისდამხედველთ, თუ როგორ სოციალურ თუ პროფესიულ ფენას ის წარმოგვიდგენს, მაგრამ აქ თავს იჩენს მეტად მტკივნეული და, შეიძლება ითქვას, დღემდის საბოლოოდ მოუგვარებელი

საკითხი: როგორ უნდა გავიგოთ სპეციფიკა მეტყველებისა, რომელიც ახასიათებს პერსონაჟის დიალექტალურ-სოციალურ გარემოს, რა დოზით და ხერხებით დაუქვემდებაროს მწერალმა დიალექტალური მასალა იმ იდეურ და სტილისტურ ამოცანას, რომელიც დგას მის წინაშე?

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ზუსტი და მკაცრი რეგლამენტაცია შეუძლებელი და მიუღწეველი ამოცანაა, ამ სფეროში გადამწყვეტი როლი ენიჭება თავად მწერლის ენობრივ ალღოს, ზომიერების გრძობას და ლიტერატურულ ტაქტს, რის გარეშე არ არსებობს ნამდვილი შემოქმედება.

ყოველივე ეს ეხება დრამატულ ნაწარმოებს, — სთქვა მომსენებელმა, — სასცენო მეტყველებაში დიალექტის გამოყენების საკითხი ამით არ ამოიწურება. სცენაზე განხორციელებულ დრამატულ ნაწარმოებს ემატება ერთი არსებითი მნიშვნელობის კომპონენტი-ინტონაცია: აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება.

ენობრივი გამოსახულების არც ერთ სფეროში არ შეიძლება ასე რეალისტურად და თელსაჩინოდ გამოჩნდეს სიყალბე, როგორც ინტონაციის სფეროში. თუ შევალამაზებთ და სრული სიზუსტითა და ზომიერებით არ დავიცვათ ამა თუ იმ კუთხის მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ინტონაციურ ვარიაციებს, მივიღებთ მეტყველების კურობულ ინტონაციებს, ნაკარნახევს გაუმართლებელი სტილიზაციითა და გარეგნული ეფექტების მოხდენის სურვილთ.

ინტონაციის სფეროში ქართული თეატრების პრაქტიკაში არაიშვიათია დამახინჯებანი და არაბუნებრიობა. გამოირკვა, რომ ზოგიერთ თეატრში მსახიობები წარმოგვიდგენენ არა ერთი დიალექტისათვის ნიშნობრივ ინტონაციურ თავისებურებას, არამედ ერთგვარ ნარევს, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ინტონაციური ნაკადი, რაც არაბუნებრივობის შთაბეჭდილებას ბადებს. მაგალითად, თელავის სახელმწიფო თეატრის სექტაკლში „მკვიდრე მზეს“ აქა-იქ შეიმჩნევა ასეთი ნაკელი: ერთი და იგივე მსახიობი წარმოგვიდგენს გურულ-კახურ ინტონაციურ შეერთებას ერთი და იმავე როლის ფარგლებში ასეთივე, ასე ვთქვათ „ინტონაციური აღრევის“ ზოგიერთი ნიშნის დადასტურებულია გორის თეატრშიც. სამაგიეროდ, სუფთა, შეურეველი და თავიდან ბოლომდის ბუნებრივია ამავე

პიესის განხორციელება მხარაძის თეატრში ინტონაციის თვალსაზრისით.

მოსხენების დასასრულს მომხსენებელი შეეხო ავტორისეული ტექსტიდან გადახვევის შემთხვევებს. არაიშვიათად მსახიობები აჭარბებენ დიალექტალურ მოვლენებს, უფრო უხვად გვაწვდიან ვიდრე ეს პიესაშია მოცემული. მაგალითად, დუმბაძისეულ ტექსტში „მე ხედავ მუხს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“, როგორც შესწავლამ გამოარკვია, დიალექტალური ლიტერატურული ფორმები, ძალზე იშვიათია, შეიძლება ითქვას, მინიმუმამდეა დაყვანილი. მსახიობთა არამცირედი ნაწილი დალატობს ტექსტს, აქაო-და დუმბაძისეულ ტექსტში, თუნდაც ძლიერ იშვიათად გვხვდებოდა დიალექტიზმებით, მსახიობი მეტად შორს მიდის, სადაც მას მოუხერხდება, ტექსტს „აგურულებს“... ეს სალიტერატურო ენის თვალსაზრისით გამართული პიესა უწყალოდ მახინჯდება ზოგიერთი არტისტის საწარმოთქმო პრაქტიკაში. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა რეჟისორების მხრივ.

შემდეგი მოხსენება თემაზე: „ქართული სასცენო მართლმეტყველების ისტორიისათვის“ წაიკითხა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჯანელიძემ.

ქართული მართლმეტყველების დიდი კულტურა, — თქვა მომხსენებელმა, — ხალხურ ნიადაგზე არის აღმოცენებული. ქართველი ხალხი მუდამ დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით ეკადმებოდა დასვენებლი, გამორჩეული სიტყვის მთქმელს. უმრავი ანდაზა და ნაკვეთი ცხადყოფს ხალხისათვის მეტყველების დიდ მნიშვნელობას. დასაბამიდანვე ქართული სასცენო მეტყველება იქცა მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ბრუნვის საგნად.

ილია და აკაკი ქართული სასცენო მართლმეტყველების საკითხს უკავშირებდნენ რეპერტუარის იდეურობას, ქართული პიესების ენა ხალხურობის და მხატვრობის, თარგმნილი პიესების ენის ხარისხს. უაზრო, უიდეო პიესას, თუ გინდ ის სწორი ქართულითაც ყოფილიყო დაწერილი, ილია უარყოფდა. ილია იმ შეხედულებისა იყო, რომ „სადაც აზრი არ არის, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ, უქნია... აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“.

მომხსენებელმა დაასკვნა: თეატრს ახალ ძალებს უზრდის უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი, სადაც ჩამოყალიბებულია

სასცენო მეტყველების კათედრა; ამან კარგი შედეგი მოგვცა.

მომხსენება თემაზე: „ქართული სასცენო მეტყველების ზოგიერთი თეორიული წინამძღვარი“ გააკეთა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, დოცენტმა მალიკო მრეველიშვილმა.

სამეტყველო მოქმედება, — თქვა მომხსენებელმა, — როგორც ფიზიკური მოვლენა, მოიცავს სამ ძირითად ფაქტორს: სუნთქვის ორგანოების მოქმედებას, ხმის ორგანოს მოქმედებას და ზესადგომი მილის ორგანოებისა და ღრუების მოქმედებას.

სასცენო მეტყველებისათვის საჭირო სუნთქვის მნიშვნელობა ზოგჯერ უგულველყოფილია ამჟამად ჩვენს თეატრში. ამის შედეგად მრავალი უხერხულობა წარმოდგება როგორც ხმაში, ისე წარმოთქმაში. მსახიობის პროფესიულ პრაქტიკაში უნდა დამკვიდრდეს სასცენო სუნთქვის სწორი მართვის წესი.

სასცენო ხმა ბუნებოთ ჯანსაღი და ელფეროვანი უნდა იყოს. ხმის საუკეთესო თავისებურების გამოვლენას განაპირობებს საკუთრივ ხმის აპარატისა და სარეზონანსო ღრუების თანწყობილი მოქმედება. ხმის ხარისხზე არის დამოკიდებული ინტონაციის მრავალფეროვანება. ხმის მოვლა-გაუმჯობესების საქმეში ჩვენს თეატრებში ყველაფერი წესრიგში არ არის.

მეტყველების ნაკადში, — განავრძო მომხსენებელმა, — წარმოთქმა საყურადღებოა, როგორც ცალკეული ბგერების არტიკულაციური სისწორის თვალსაზრისით, ისე სიტყვების სრულად წარმოთქმის თვალსაზრისით. უკანასკნელი პირობის დარღვევა შეცდომებს იწვევს მსახიობების წარმოთქმაში.

სასცენო მეტყველების ტექნოლოგიური პირობების შესრულება აზრის ნათელი და მოქმედებრივი გამოხატვა ფრაზაში-წარმოდგენს სასცენო მეტყველების ოსტატობის საფუძველს.

დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა: მაგრამ ზოგიერთთა ლაპარაკის მანერა, რომელმაც ამ ბოლო ხანებში თანამედროვე თემაზე დადგმულ საპექტაკლებში იჩინა თავი, არაკენჭური, ყალბი „სიხალეა“ და თანამედროვეობის არ გამოხატავს.

სასცენო მეტყველების მეთოდურმა საბჭომ დაავალა დოც. ბარბალე ნიკოლაიშვილს, რომ მას ეწარმოებინა მავნიტოფონური ჩანა-

წერები საქართველოს თეატრებში. ბ. ნიკო-
ლაიშვილმა სესიას წარუდგინა ცოცხალი
მაგალითები ქართულ სასცენო წარმოქმის
მაგნიტოფონური ჩანაწერების მიხედვით. თა-
ნაც დასძინა, რომ ეს არის პირველი ცდა,
და ვფიქრობთ, რომ შემდეგში ასეთი პრაქ-
ტიკა მეტ შედეგს გამოიღებს, მოგვეცემა
საშუალება სესიაზე მეტი ფაქტიური მასალით
ვილაპარაკოთ და სათანადო დასკვნებიც
გავაკეთოთ.

მოხსენებათა დასასრულს გაიმართა საინტე-

რესო კამათი. მასში მიიღეს მონაწილეობა
როგორც საბჭოს წევრებმა, ისე სესიის მონა-
წილეებმა: ვერიკო ანჯაფარიძემ, აკაკი ვასა-
ძემ, ცაცა ამირეჯიბმა, დიმიტრი მჭედლიძემ,
ცნობილმა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა, აკადე-
მიკოსმა ვ. თოფურიაშვილმა, ენათმეცნიერმა ილ-
მაისურაძემ, მწერალ-დრამატურგმა რ. ქორ-
ქიამ და ს. მთვარაძემ.

სესია შეაჯამა საქართველოს თეატრალური
საზოგადოების თავმჯდომარემ, საქ. სსრ სა-
ხალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

ხსოვნისა და შემოქმედებითი საღამოები

ვალერიან შალიკაშვილის დაბადების 90 წელი

ქ. ლანჩხუთის მშრომლებმა ა. წ. 9 მაისს დიდი ზემოთ აღნიშნეს თავისი თანამემამულის, რევოლუციამდელი ქართული თეატრის გამორჩენილი მოღვაწის, რეჟისორის, მსახიობის, დრამატურგისა და თეატრალური კრიტიკოსის ვალერიან შალიკაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და ქ. ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ეს ერთობლივი ღონისძიება ჩატარდა ლანჩხუთის სახალხო თეატრის შენობაში.

დამსწრეთა შორის იყვნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან და მახარაძეიდან ჩამოსული სტუმრები, ლიტერატურისა და ხელოვნების გამორჩენილი მოღვაწეები: სსრკ სახალხო არტისტი აკ. ხორავა, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ელ. ახვლედიანი, მწერალი დ. შენგელაია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დ. ჯანელიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ც. ამირეჯიბი, პ. ფრანგიშვილი, ვ. ნინიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ნ. გოძიაშვილი და დ. ჩხეიძე, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი ი. მეგრელიძე, მწერალი გრ. ცეცხლაძე, თეატრმცოდნეები გ. იაკაშვილი და ნინო შვანგირაძე, მსახიობის ქალიშვილი—მხატვარი ნ. შალიკაშვილი და სხვები.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ებრალიძემ. მან მადლობა გადაუხადა იმ პირებს, რომლებმაც ყურადღება გამოიჩინეს და სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოვიდნენ.

მოსხენება ვალერიან შალიკაშვილის ცხოვრება და შემოქმედება წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დ. ჯანელიძემ. მან მაღალი შეფასება მისცა ვ. შალიკაშვილის შემოქმედებას და აღნიშნა, რომ იგი იყო

თავისი დროის შესანიშნავი მსახიობი, რომელიც ერთნაირი სიძლიერით ასახიერებდა, როგორც დრამატულ, ისე სახასიათო როლებს. მომხსენებელმა ილაპარაკა ვალ. შალიკაშვილზე, როგორც რეჟისორზეც. მან აღნიშნა, რომ მისი რეჟისორობით დადგმული სპექტაკლები „სინათლე“ და „მსხვერპლი“ ქართული თეატრის ისტორიაში დარჩა, როგორც პირველი ანსამბლური, მწყობრი და რეჟისორულად სწორად გადაწყვეტილი სპექტაკლები.

დ. ჯანელიძემ ვრცლად ილაპარაკა ვალ. შალიკაშვილზე, როგორც დრამატურგზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თავისი დროისათვის მისი პიესების თემა აქტუალური იყო და ეხებოდა ცხოვრების ყოველდღიურ საჭირობოტო საკითხებს; ამიტომაც ისინი დიდხანს შერჩნენ სცენას. მისი პიესები „უნიადგონი“ და „გადაჭირთა მუხა“ წარმატებით იდგმებოდნენ საბჭოთა სცენაზეც.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჩხეიძემ. „ჩვენი ქვეყნის ულამაზესმა კუთხემ გურიამ,— თქვა მან,— მოგვეცა ქართული სცენის გამორჩენილი მოღვაწე ვალ. შალიკაშვილი. მან ქართული თეატრის ისტორიაში დაიმკვიდრა მუდმივი ადგილი, ისეთი გამორჩენილი მოღვაწეების გვერდით, როგორებიც იყვნენ ვ. აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა და სხვები“

მწერალმა დ. შენგელაიამ თქვა: „ვ. შალიკაშვილის უზარმაზარი ლეწლი მიუძღვის ქართული მწერლობის, კერძოდ კი დრამატურგიის წინაშე. იგი ლიტერატურის აგიტაციის სცენიდან ეწეოდა. როდესაც მან სცენიდან წაიკითხა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „იყიდება საქართველო“, მთელი საზოგადოება ადგა ფეხზე და ხანგრძლივი ოვაკია გაუმართა მსახიობს.

სალამოზე ვ. შალიკაშვილის შესახებ ვალ-



თბილი მოვონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ: ც. ამირეჯიბი, ვიქ. ნინიძე, შ. ხონელი, პ. ფრანგიშვილი, მათ მოიგონეს ამ შესანიშნავ ადამიანთან შეხვედრები და მასთან მუშაობის დაუფიქარი წლები.

ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ლანჩხუთის სახალხო თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. წულაძემ, რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით მეორე საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. კვეციანი, ქ. მახარაძის მშრომელთა სახელით მახარაძის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა, საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა ბ. ნაკაიძემ, ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის სახელით რეჟისორმა შ. ინასარიძემ. ვ. შალიკაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა რ. ლორიამ.

სიტყვით გამოვიდა ვალ. შალიკაშვილის ქალიშვილი, მხატვარი ნ. შალიკაშვილი. მან მადლობა გადაუხადა იმ ორგანიზაციებსა და პიროვნებებს, რომელთაც ეს ღონისძიება ჩაატარეს.

სალამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონ-

ცერტი, ადგილობრივი ძალებისა და საქთეატრალური ინსტიტუტის IV-კ. სტუდენტების ა. შალიკაშვილის და ვ. ფირცხალაიშვილის მონაწილეობით.

სალამოზე დამსწრე საზოგადოებამ დიდი ყურადღებით დაათვალიერა ვ. შალიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა, რომელიც საქართველოს სათეატრო მუზეუმმა მოაწყო.

მეორე დღეს, 10 მაისს, ჩამოსულ სტუმრებთან ერთად ლანჩხუთის მრავალი მშრომელი გაემართა სოფ. ზემო აკეთისაკენ, სადაც ვ. შალიკაშვილის საფლავზე მიტინგი მოეწყო. მიტინგი გახსნა ზემო აკეთის სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ პ. სალუქვაძემ. მოხსენებებით გამოვიდნენ დამსახურებული მოსწავლეები ვ. მგელაძე და დ. ნაცვლიშვილი.

სიტყვები წარმოთქვეს სსრკ სახალხო არტისტმა აკ. ხორავამ, მწერალმა დ. შენგელაიამ, ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ვ. ვადაჭკორიამ და აკეთის სკოლის მოსწავლემ ლ. ნაკაიძემ. ვ. შალიკაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა მოსწავლე თ. შალიკაშვილიმ.

გიორგი დავითაშვილის საიუზიუმო საღამო ბათუმში

საქართველოს თეატრალური საზოგადოების, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს და ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის ერთობლივი ღონისძიებით 22 ივნისს ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თავი მოიყარეს აჭარის ასსრ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, რათა აღენიშნათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გიორგი მიხეილის ძე დავითაშვილის დაბადების 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავი.

სალამო გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. მახარაძემ.

ყურადღებით იქნა მოსმენილი თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძის მოხსენება გიორგი დავითაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

თეატრალური ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან ერთად, — ამბობს მომხსენებელი, — ბათუმელი გ. დავითაშვილი ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და პირველი ქართული საბჭოთა სპექტაკლის ლოზე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ მონაწილეა. იგი კ. მარჯანიშვილის მიერ შექმნილ ამ სპექტაკლში ტემპერამენტითა და უშუალოდით ასახიერებდა ფრონდოსოს როლს.

მისმა ბრწყინვალედ თამაშმა დიდად შეუწყო ხელი სპექტაკლის წარმატებას.

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც იგი 1920 წლიდან მუშაობს, მეტად მცირეა ისეთ სპექტაკლთა რიცხვი, რომელშიც გ. დავითაშვილს არ შეესრულებიოს მთავარი როლი.

ასამდე როლი აქვს მას განსახიერებელი. ფრანც შოპერი, ჰამლეტი, ოთარ-ბეგი, ზაალ ბარათაშვილი, ბორის გოდუნოვი, მინდია, ანზორი, უკრაინის სახალხო გმირი ბოგდან ხმელნიცკი. გ. დავითაშვილის მიერ შესრულებული ეს როლები საუკეთესო სახეთა გალერეაში შევიდა.

გ. დავითაშვილის ღვაწლი სათანადოდ დაათვა საპარტიო და მთავრობამ. 1934 წელს მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიით, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით.

გ. დავითაშვილი, — თქვა დასასრულს მომხსენებელმა, — არა მარტო შესანიშნავი მსახიობია, არამედ მოკრძალებული და უპრეტენზიო მოქალაქეა.

იუბილარს მხურვალედ მიესალმენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი ა. ვასაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იუსუფ კობალაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ნ. საბაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში.

ხალხით სავსე დარბაზი ტაშით შეხვდა გ. დავითაშვილის გამოსვლას, რომელმაც გულითადი მადლობა გამოთქვა პარტიისადმი, მთავრობისადმი, ხალხისადმი მისი ღვაწლის დაფასებისათვის.

სალამოზე გამოქვეყნდა ბრძანებულება გ. დავითაშვილის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

აჭარის ასსრ შმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. მ. დავითაშვილის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

დაბადებიდან 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი მიხეილისძე დავითაშვილი დაჯილდოვდეს აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

რ. კომახიძე

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ნ. ხახუტაშვილი

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ხელოვნების სახლმა 1964 წლის 20 აპრილს მოაწყო საქ. რესპუბლიკის სახალხო არტისტის ცაცა ამირეჯივის დაბადებიდან 75 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

იგი შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნების დამასხურებელმა მოღვაწემ დავით ჩხეიძემ. ქართველ ქალს, — თქვა მან, — ძველ ქართულ სცენაზე, რომ მუშაობა დაეწყო, დიდი გამბედაობა უნდა ჰქონოდა. ასეთს მაშინ საზოგადოების ნაწილი აღმოაცერად უყურებდა. გამბედავ ქალთა კატეგორიას ეკუთვნის ჩვენი პატივცემული ცაცა ამირეჯივი. მან ჯერ კიდევ მოწაფეობაში შეიყვარა ქართული თეატრი და 50 წელი ემსახურა მას.

საღამოზე მოხსენება „ცაცა ამირეჯივის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

ჩვენი ქვეყნის მაღალნიჭიერი და სახელმწიფოებრივი მსახიობი ცაცა ამირეჯივი, — ამბობს დ. ანთაძე, — დაიბადა 1888 წელს. მამის, გიორგი ამირეჯივის, ოჯახში არსებულმა ქართული ლიტერატურისა და თეატრისადმი სიყვარულმა განუვითარა პატარა ცაცას მხატვრული გემოვნება და ცოდნის წყურვილი.

1909 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ცაცა ამირეჯივმა სწავლა მოსკოვის ხალიუტინას დრამატულ სასწავლებელში განაგრძო. აქ მან ბევრი რამ სასარგებლო შეიძინა.

ცაცა ამირეჯივი თავის შემოქმედებით გზას იწყებს 1911 წელს, ლადო მესხიშვილის მიწვევით ქართულ თეატრში. მისი სადებიუტო როლი იყო ზეინაბი ა. სუმბათაშვილის „ლალატი“. მშვენიერი ქართული მეტყველებით, მგზნებარე ტემპერამენტით, ღირსებით აღსავსე თავდაჭერით ცაცამ საერთო ყურადღება და მასყურებელთა ერთსულრობის აღიარება დაიმსახურა. ამას მოჰყვა ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), ვერნიეტა („ორი ობოლი“), კრუჩინინა (ნ. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“), მამა (ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“) და სხვ.

1912-13 წ. ცაცა ამირეჯივი ამშვენებდა ქუთაისის სცენას, სადაც რეჟისორ მიხ. ჭორელის ხელმძღვანელობით მრავალი საინტერესო სახე შექმნა.

1913 წლიდან ცაცა გადავიდა ბაქოში; აქ ის ქართულ თეატრში უდიდეს ეროვნულ-კულტურულ მისიას ასრულებდა. მაშინ ბაქოში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით დაარსდა ქართული სკოლა, ბიბლიოთეკა და თეატრი. ცაცა ბაქოს ქართველობამ შეიყვარა როგორც მსახიობი, ადამიანი და საზოგადო მოღვაწე.

1917—18 წ. ბაქოს თეატრს სათავეში უდგნენ შალვა დადიანი და ალ. წუწუნავა; ეს სახელოვანი სეზონები იყო ბაქოს ქართული თეატრის ისტორიაში. ამ პერიოდში ცაცა ამირეჯივმა დადიანის „გუშინდელის“ პირველსავე სპექტაკლში შეასრულა კნეინა ჩიტუნიას როლი, რომელიც ერთ-ერთ საგვირგვინო როლად გადაიქცა მის რეპერტუარში.

1917 წელს ცაცა თბილისს დაუბრუნდა და დაოსტატების მიზნით ჩაირიცხა გიორგი ჯაბადარის სტუდიაში. გ. ჯაბადარი, რომელიც იმ ხანად ჩამოვიდა საფრანგეთიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასცენო მეტყველებას, მოითხოვდა მკაფიო, ლოგიკურად სწორ, მაგრამ ზემადღებულ კეთილშობილ მეტყველებას. სტუდია, უსახსრობის გამო დაიხურა და ცაცა შეუერთდა მსახიობთა იმ ჯგუფს, რომელიც ი. ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დადიოდა საგასტროლოდ. ამ პერიოდში ც. ამირეჯივმა თავისი პირადი ცხოვრება დაუკავშირა ცნობილ მსახიობსა და საზოგადო მოღვაწეს ვასო არაბიძეს. იგი ზესტაფონის მკვიდრი იყო და ცაცაც ზაფხულის თვეებს ზესტაფონში ატარებდა. მაშინ იქ ძლიერი დრამატული წრე მუშაობდა.

ვასო არაბიძემ დიდი ღვაწლი დასდო ზესტაფონის თეატრს. ყველა კულტურული ღონისძიებები მის ოჯახში ტარდებოდა. ზაფხულის სეზონებში რეგულარულად იდგმებოდა ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ვ. შალიკაშვილის „გა-

დაჭრილი მუხა“, ა. სუმბათაშვილის „დალა-
ტი“ და სხვა. ამ საქმეებში ცაცა მთავარ
როლებს ასრულებდა და საზოგადოების
აღტაცებას იმსახურებდა. მისი შესანიშნავი
ქართული მეტყველება სანიმუშო სკოლა იყო
ახალგაზრდა მსახიობთათვის.

1920—21 წ. სეზონში რუსთაველის თეა-
ტრში თავი მოიყარა თითქმის ყველა ცნო-
ბილმა მსახიობმა და მათ შორის ცაცა ამი-
რეჯიმაძე. დასს ჯერ ხელმძღვანელობდა
აკაკი ფალავა, შემდეგ კი—კოტე მარჯანიშვი-
ლი. ამ დროს ქუთაისის თეატრს უძღვებოდა
იუზა ზარდალიშვილი. ამის მოთხოვნით
ცაცა წლების მანძილზე მუშაობს ერთდროუ-
ლად ქუთაისისა და თბილისის თეატრებში.

1925 წლიდან ცაცა ამირეჯიბი კანონიკ
გამოდის: „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „არ-
შაული“, „ჩიდი ენგურზე“, „უკუზარა“, და
სხვა. მან გლეხის ქალის ძლიერი სახე შექმნა
მ. ჭიათურელის მიერ დადგმულ ფილმ „არსე-
ნაში“, შემდეგ კი „მაგდანას ლურჯაში“ და
სხვა. ამრიგად, ცაცა ამირეჯიბს დიდი ამაგი
მიუძღვის ქართულ კინო-ხელოვნებაზე, რასაც
იგი დღესაც აგრძელებს.

იგივე მსახიობი პერიოდულად მუშაობდა
კ. მარჯანიშვილის თეატრის, ხაშურის, სოხუ-
მის და რაიონულ სხვა თეატრების სცენებზე.

ცაცა ცნობილია, როგორც შესანიშნავი დეკ-
ლამატორი. იგი ა. ფალავას ხელმძღვანელობით
არსებულ სტუდიაში ასწავლიდა მეტყველე-
ბას. ამჟამად იგი გამოჩენილ ქართველ მეცნი-
ერებთან ერთად მოღვაწეობს თეატრალურ
საზოგადოებასთან ჩამოყალიბებულ სასცენო
მეტყველების მეთოდურ საბჭოში.

ცაცა ამირეჯიბს 1940 წელს მიენიჭა რესპ.
დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო

ქართული თეატრის 100 წლის თავზე,—რეს-
პუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

სალამოზე სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი
გიორგი ახვლედიანი. მან თქვა: „სწორ ქარ-
თულ მეტყველებას, საფუძვლად დაედო ქარ-
თლის მეტყველება, რომლის წარმომადგე-
ნელი ვახლავთ პატივცემული ცაცა. ჩვენი
ენა მრავალმხრივ შეინახა ქართულმა სცენამ,
საიდანაც ისმოდა ნამდვილი ქართული ენა.
სწორი მეტყველება, სალიტერატურო ენა,
სწორედ სცენიდან უნდა ისმოდეს. ერთ-ერთი
ბურჯი ამ ღონისძიებების წარმატებით განხორ-
ციელებაში ჩვენი საყვარელი ცაცაა, რომელ-
მაც თავისი მოღვაწეობით ასახელა ქართუ-
ლი სცენა.“

იუბილარს მიესალმენ პოეტი-აკადემიკოსი
გ. ლეონიძე, სსრკ სახ. არტისტი აკ. ვასაძე,
საქ. კულტურის მუშაკთა პროფკავშირის
ხელოვნების სახლის გამგეობის სახელით
რესპ. სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, კინო-
დრამატურგი კ. გოგოძე, თეატრალური
საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე
გ. იაკოვილი, სანკულტურის თეატრის
სახელით რესპ. დამს. არტისტი მ. ჭანი-
შვილი და ეთერი გელოვანი. სალამოზე
მოგონებებით გამოვიდნენ: ვლ. კვიციანი
და რესპ. სახ. არტისტი შ. ხონელი, საკუ-
თარი ლექსები წაიკითხეს რესპ. სახ. არტი-
სტმა ე. აფხაიძემ და მწერალმა ვლ. სულა-
ბერიძემ.

სალამოს მხატვრულ განყოფილებაში მონა-
წილობდნენ: ცაცა ამირეჯიბი, რესპ. სახ.
არტისტი გ. დავითაშვილი და კონ-
სერვატორიისა და თეატრალური ინსტიტუ-
ტის სტუდენტები.

უშანგი ჩხეიძის ხსოვნის საღამო ზესტაფონში

მიმდინარე წლის, 6 ივნისს საქართველოს
თეატრალურმა საზოგადოებამ და ზესტაფო-
ნის საქალაქო კულტურის სახლმა მოაწყვეს
რესპუბლიკის სახალხო არტისტის უშანგი
ჩხეიძის გარდაცვალებიდან 10 წლისთავისადმი
მიძღვნილი საღამო.

კულტურის სახლში თავი მოიყარეს ზეს-
ტაფონის რაიონის მშრომელებმა და თბილი-
სიდან ჩამოსულმა სტუმრებმა.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქარ-
თველოს თეატრალური საზოგადოების თავმ-
ჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა

დღოდ ანთაძემ. მოხსენებით „უშანგი ჩხეიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ“ გამოვიდა. საქ. მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტაძე.

უშანგი ჩხეიძე, — განაცხადა ბ. ჟღენტაძე, — ქართული საბჭოთა თეატრის ერთერთი ფუძემდებელთაგანია და მისი აღმავლობის უშუალო მონაწილეც იყო.

უშანგის გამარჯვების წყარო ქართული სცენა იყო.

ილაპარაკა რა უშანგი ჩხეიძის შემოქმედებაზე, ბ. ჟღენტაძე თქვა: უშანგი ჩხეიძე თავის შემოქმედებაში ყოველთვის ადამიანურ სიბართლეს ეძებდა, იგი ყოველ მხატვრულ სახეს თავისებური ხერხებით ხსნიდა, ეს მსახიობი თავისი განცდების მონაწილედ ხდიდა მსურველს და მასზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

უშანგი ჩხეიძის მიერ უბაღლოდ შესრულებული ურიელ აკოსტას, ჰამლეტის, იავოს, ჩენჩის, ყვარყვარეს, კვეჭენაძის, მხატვრული სახეები ქართული თეატრის ოქროს ფონდშია შესული და დიდხანს ენსომება მადლიერ ქართველ მსურველებს, — დასკვნის ბ. ჟღენტაძე.

სალამოზე მოგონებებით გამოვიდნენ უშანგის სცენის მეგობრები: სსრკ სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები დ. ჩხეიძე, ო. ევაძე, დ. ჯანელიძე, რესპ. სახალხო არტისტი აკ. კვანტალიანი, ბ. ნაკაიძე, ქართული სცენის მსახიობი ზესტაფონის მკვიდრი ფ. არაბიძე, სოფ. ფუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. სალარიძე, საქ. ალკ ზესტაფონის რაიკომიდან რ. ბერიანიძე, რესპ. დამს. არტ. ტ. საყვარელიძე და სხ.

დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა უშანგი ჩხეიძის დამ ნ. ჩხეიძემ.

დამსწრე საზოგადოებას რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ წაუკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების ტექსტი ზესტაფონის კულტურის სახლის უშანგი ჩხეიძის სახელობის კულტურის სახლად გამოცხადების შესახებ.

დასასრულს, კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობთა და ადგილობრივ სახალხო თეატრისა და კულტურის სახლის თვითმომკმედ წრეების მონაწილეობით გამართა დიდი კონცერტი.

დავით ჯავრიშვილის შემოქმედებითი საღამო

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრთან და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლთან ერთად, 4 ივნისს მოაწყო რესპუბლიკის სახალხო არტისტის ქორეოგრაფ დავით ჯავრიშვილის შემოქმედებითი საღამო.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპ. სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის დ. ჯავრიშვილს ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში.

მოხსენებით დ. ჯავრიშვილის „ცხოვრება და შემოქმედება“ გამოვიდა ხელოვნების

დამსახ. მოღვაწე ო. ევაძე, რომელმაც ილაპარაკა ქართული ქორეოგრაფიის ამ ნაყოფიერი მუშაკის ამავსა, ჭეშმარიტ ადამიანურ თვისებებსა და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულზე.

დ. ჯავრიშვილი დაიბადა 1894 წელს სოფ. ერთაწმინდაში. საშუალო განათლება მიიღო ქ. თბილისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც 1914 წ. დაამთავრა. მაშინ იგი ყურადღებას იპყრობდა როგორც წარჩინებული ტანმოვარჯიშე. დაიწყო მსოფლიო ომი და დავითი მოეწყო სამხედრო სასწავლებელში, 1919 წელს იგი უკვე სამხედრო კაპიტანია, მაგრამ აღარ განავრძო ეს სამსახური და ამავე წლიდან ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში

ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელად მუშაობს, 1921 წელს კი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელია. 1925 წლიდან იწყებს მოღვაწეობას ქორეოგრაფიაში და ამდღერებს მას ახალი იღუმენტით. 1931 წელს ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციის მიწვევით ოპერა „აბესალომ და ეთერში“ დადგა ცეკვები. უკვე პროფესიულად მომზადებული დ. ჯავრიშვილი 1933 წელს მოვიდა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. აქ იგი 20 წლის განმავლობაში მუშაობს უმწვევლოდ. აქ მან დადგა ცეკვები 20 საოპერო და საბალეტო სპექტაკლებში და 15 ჯერ განახლა სხვადასხვა სპექტაკლი.

1934 წელს დ. ჯავრიშვილმა ჩამოაყალიბა კერძო ქორეოგრაფიული სტუდია, რომელიც 1935 წ. საქართველოს ქორეოგრაფიულ სტუდიად გადაკეთდა. მას იგი 1952 წლამდე ხელმძღვანელობდა.

1935 წელს ლონდონში ჩატარდა პირველი საერთაშორისო ხალხური ცეკვების ფესტივალი, სადაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა ქართველთა ჯგუფმა. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი დ. ჯავრიშვილი იყო.

1937 წლიდან იწყება დ. ჯავრიშვილის ნიჭისა და დაუშრეტელი ენერჯის მკვეთრი გამოვლენა. ამ პერიოდში მან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადისათვის სამი ოპერა მოამზადა.

1937—39 წლებში ზედოზე აფორმებდა საქართველოს სპორტულ გამოსვლებს წრიულ მოედანზე. 1939 წ. დიდი თეატრის დირექციამ მიიწვია „აბესალომ და ეთერის“ დასადგმელად, რომელიც 1949 წელს კვლავ განახალდა.

1952 წ. ხელმძღვანელობს მხატვრულ თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფიულ განყოფილებას.

1954 წ. დადგა სამი ცეკვა სსრკ სახ. ცეკვის სახ. ანსამბლში.

—იშვიათია,—განაგრძობს მომხსენებელი,—ფიზიკური კულტურის და სულიერი ინტელექტის ასეთი შერწყმა. დ. ჯავრიშვილი არა მარტო ნიჭიერი ქორეოგრაფია, იგი ამავე დროს ქორეოგრაფიის თეორეტიკოსიცაა, ავტორია სტატიების, პლაკატების. მან პირველმა დადგა და გამოსცა ქართული ქორეოგრაფიული სანოტო წიგნი.

დ. ჯავრიშვილი 1936 წ. მთავრობამ დააჯილდოვა საქ. ხელ. დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებით.

სალამოზე იუბილარს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელით ან. წულუკიძე, საქ. ალკკ ცენ. კომიტეტის მდივანი რ. მეტრეველი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით, ხელოვნების დამსახ. მოღვაწე დ. ჩხეიძე, ხელოვნების მუშაკთა სახელით—რესპ. დამსახ. არტისტი მ. ყვარელაშვილი, ოპერისა და ბალეტის აკ. თეატრის სახელით თეატრმცოდნე ნ. მესხი, აჭარის კულტურის მინისტრი ვ. ახვლედიანი, განათლების სამინისტროდან დამსახურებული მასწავლებელი გ. მერკვილაძე, ქალაქ თბილისის ტანმოვარჯიშეთა სახელით—თ. ზურაბიშვილი, ოპერის საბალეტო სტუდიიდან—ი. იასინსკაია, მხატვრული თვითმოქმედების კულტ. სასწავლებლიდან რესპ. სახ. არტისტი ლ. გვარამაძე და სხვა.

დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რესპ. სახ. არტისტმა ნ. ცოშიამ, რესპ. დამს. არტ. თ. ლაპიაშვილმა, ოპერის სოლისტმა ლ. კანდელაკმა, ვ. წულუკიძემ, მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლეებმა და მასწავლებელთა სახლთან არსებულმა ქორეოგრაფიის წრის მოსწავლეებმა.

ლევან ჭეიძის დაბადების 60 და შვიმოქმედების

40 წლის აღსანიშნავი საღამო

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, სოხუმის სახელმწიფო თეატრმა და აფხაზეთის ასსრ შშრომელებმა ა. წ. 1 აპრილს აღნიშნეს საქართველოს სსრ და აფხაზეთის

ასსრ სახალხო არტისტის, ლეო დიმიტრის ძე ჭეიძის ცხოვრების 60 და თეატრალურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქარ-

თველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

ლ. ჭედის ჭოვრების გზა დაახასიათა დოც. ოთარ ჭურღულიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლეო ჭედის თეატრალური მოღვაწეობა დიდადა დაკავშირებული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების წინსვლასთან. ქართულმა საბჭოთა სცენამ ასაზრდოვა ჯერ კიდევ მეოცნებე ახალგაზრდა, ამ თეატრმა განსაზღვრა შემოქმედის იდეური მიმართულება, თეატრშივე ჩამოაყალიბა იგი როგორც შემოქმედის-მსახიობი, რეჟისორი და მოქალაქე.

ლ. ჭედია მუშაობდა თბილისის სახელმწიფო—საკომედიური მოძრავ თეატრში, შემდეგ—სიღნაღის, თელავის, ჭიათურის და ბოლოს სოხუმის სახელმწიფო თეატრში. ლ. ჭედია თავისი შემოქმედების მანძილზე 150-დე როლი განასახიერა: დურმიშხანი, ოტელო, პლატონ კრეჩტი, ყვარყვარე თუთაბერი და კიდევ რამდენი დასამახსოვრებელი სახე! ლ. ჭედის, როგორც რეჟისორს, 40 სპექტაკლი აქვს დადგმული.

ლ. ჭედია ცნობილია აგრეთვე, როგორც ახალგაზრდობის აღმზრდელი, სახალხო თეატრების ხელმძღვანელი. იგი აფხაზეთის ასსრ მრავალგზის მოწვევის დებუტატი და მედლების კავალერია. ლ. ჭედია, პროფესიული და კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის ქეშმარიტად დაიმსახურა სსსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სალამოზე მისსალამებელი სიტყვები წარმო-

თქვეს: საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მადგილზე—გ. იაკაშვილმა, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვ. ნინიძემ, აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს სახელით—შ. აბუთიძემ, აფხაზეთის ასსრ პროფკავშირების სახელით—ფ. ქუჩულორიამ, სოხუმის თეატრის ქართული დრამის სახელით—თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლ. მირცხულავამ, ამავე თეატრის აფხაზეთი დრამის სახელით—კ. გერხელიამ, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით—ო. ვარსანიამ, სოხუმის აღმასკომის კულტურის განყოფილების მუშაკთა სახელით—ა. შამბამ, აფხაზეთის მწერალთა კავშირის სახელით პოეტმა შ. აკობიამ, სოხუმის თეატრის ვეტერან მუშაკთა სახელით—აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტმა—ო. კანდელაკმა და მრავალმა სხვამ.

წაითხული იქნა ლ. ჭედის სახელზე მოსული უამრავი დეპეშა.

კრების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ გამოაქვეყნა—საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ბრძანება ამხ. ლ. ჭედის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და პროფკავშირების კულტურის მუშაკთა კავშირის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ლ. ჭედია მადლობა გადაუხადა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს და თეატრალურ საზოგადოებას მისი ამ საღამოს მოწყობისათვის.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

გიორგი აბრამაშვილის შემოქმედებითი საღამო

მიმდინარე წლის 6 აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა ქალაქ გორში შემოქმედებითი საღამო მოუწვევეს ამავე თეატრის მთავარ რეჟისორს გიორგი აბრამაშვილს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

ვრცელი მოხსენებით გიორგი აბრამაშვილის თეატრალური ხელოვნების დარგში მო-

ღვაწეობის შესახებ გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ევაძე.

მეოთხედი საუკუნეა, — თქვა მან, — რაც გიორგი აბრამაშვილი ფარვანასავით დასტრიალებს მშობლიურ თეატრს, რომელიც მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკმა შეიყვარა.

მომხსენებელმა ილაპარაკა გ. აბრამაშვილის სამსახიობო და სარეჟისორო მოღვაწეობაზე თელავის, ბორჯომის, ახალციხის და გორის თეატრებში და დასძინა, რომ დღიდან თეატრში მოსვლისა გ. აბრამაშვილი ერთნაირი მონდომებითა და ხალისით მუშაობდა როგორც რესპუბლიკის თეატრებში, ისევე სამამულო ომის წლების პერიოდში მის მიერ ჩამოყალიბებულ მოძრავ თეატრალურ კოლექტივში, ეს მოძრავი კოლექტივი მომსახურეობას უწევდა მაშინ სამხრეთ საქართველოს საზღვრებთან დაბანაკებულ ჯარის ნაწილებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გ. აბრამაშვილს მისი სასცენო მოღვაწეობის 25 წლის მანძილზე განსახიერებელი აქვს 100 მეტი როლი, მათ შორის არიან ასეთი მხატვრული სახეები: კიკვიძე ვ. დარასელის „კიკვიძეში“, ცეკვის მასწავლებელი — ლოპე-დე ვეგას ამავე სახელწოდების პიესაში, ზაალ ბარათაშვილის ს. შანშიაშვილის „არსენაში“, აკოფა აქ. ცაგარელის „ხანუმაში“ და მრავალი სხვა. ამა-

ვე დროს გ. აბრამაშვილს, როგორც რეჟისორს სხვადასხვა თეატრებში 100 მეტი სპექტაკლი აქვს დადგმული.

ვარდა ამისა, — დასძენს ო. ევაძე, — გ. აბრამაშვილი ნაყოფიერ შემოქმედებითი მუშაობასთან ერთად საზოგადოებრივი მოღვაწეცაა. ის საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრია, საქ. კპ გორის საქალაქო კომიტეტის წევრი და მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო აღმასკომის მრავალ მოწვევის დეპუტატია და სხ.

სადამოზე იუბილარს მიულოცეს საქ. თეატრალური საზოგადოების სახელით ამხ. გ. იაკაშვილმა, საქ. მწერალთა კავშირის სახელით — ამხ. გ. გოგიჩაიშვილმა, თელავის თეატრის სახელით — რესპ. დამს. არტისტმა თ. ბურბუთაშვილმა, ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სახელით — ხელ. დამსახ. მოღვაწე, დ. ჭეიშვილმა, ბორჯომის სახალხო თეატრის სახელით — რესპ. დამსახურებულმა არტისტმა გ. ხმალადემ, გორის მშრომელთა სახელით — ამხ. ი. მაკრახიძემ და სხვებმა.

დასასრულს გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობების მონაწილეობით გაიმართა დიდი მხატვრული განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო თვით იუბილარმაც.

მუსტაფა მარდანოვის საიუბილო საღამო

მიმდინარე წლის 12 აპრილს ქალაქ ბაქოში მოეწყო აზიზბეგოვის სახელობის თეატრის მსახიობის, აზერბაიჯანის სახალხო არტისტის მუსტაფა მარდანოვის იუბილე, მიძღვნილი მისი დაბადებიდან 70 და სასცენო მოღვაწეობის 55 წლისთავისადმი. იუბილეს, რომელიც გულთბილ ვითარებაში ჩატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოებიდან დაესწრნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები დ. ჩხეიძე და შ. აღსაბაძე; მათ საქართველოს თეატრალური საზოგადოების დავალებით მუსტაფა მარდანოვს

შესთავაზეს იუბილეს განმეორება საქართველოშიაც. აქ იგი დაიბადა და სიჭაბუკის წლები გაწვლო. დამსწრე საზოგადოება დიდი ოვაციით შეხვდა ამ წინადადებას. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ დაპირება შეასრულა, მან აქ 11 ივნისს ქალაქ მარნეულის კულტურის სახლში მოაწყო აზერბაიჯანის სახალხო არტისტის მუსტაფა მარდანოვის იუბილე, რომელიც გულთბილ ვითარებაში ჩატარდა.

სადამო შესავალი სიტყვით განსნა მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღ

მასკომის თავმჯდომარემ ფაშა რაგიმოვმა, რომელმაც დამსწრეთ მოკლედ გააცნო მუსტაფა მარდანოვის ბიოგრაფია. მოხსენებით „აზერბაიჯანის სახალხო არტისტის მ. მარდანოვის ცხოვრება და შემოქმედება“—გამოვიდა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე. მან ილაპარაკა სახალხო არტისტის მ. მარდანოვის ღვაწლზე საბჭოთა თეატრში, ხაზი გაუსვა მის სცენურ ნათლობას და მოღვაწეობას საქართველოში, დაასახელა მ. მარდანოვის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული სცენური სახეები: გოგოლის „რევიზორში“ ხლესტაკოვი, „ნადირშაში“ ალხამ ხანი, კორნეიჩუკის „ლატონ კრეჩეტში“ ბუბლიკი, შირვანზადეს „ნამუსში“ მარტიროსი, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებაში“ ფიგარო, შექსპირის „ჰამლეტში“ პოლონიუსი, „დამქნარ ყვავილებში“ აბდული, გოლოდინის „მზიარულ შემთხვევაში“ ფილიბერტო და სხვა მრავალი.

იუბილარს მიულოცეს და საჩუქარი გადასცეს მარნეულის მშრომელთა მოსახლეობის სახელით მარნეულის სამრეწველო საწარმოო პარტიულ კომიტეტის მდივნის მოადგილეებმა ო. მანაგაძემ და ტ. კარაევმა.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აქხორაევამ თავის მილოცვაში ხაზი გაუსვა აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხთა მეგობრობას, რომელიც უძველეს დროიდან მომდინარეობს. ასეთივე აზრი გაატარა თავის სიტყვაში მწერალმა დრამატურგმა რ. ქორქიამ,

რომელიც იუბილარს მიესალმა ქართველი მწერლების სახელით. აზერბაიჯანელ ხელოვანთა შემოქმედებაზე ილაპარაკეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დ. ჯანელიძემ და თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძემ. საქართველოს თეატრალურ საზოგადოების სახელით იუბილარს აზერბაიჯანულ ენაზე მიულოცა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნიკო გოძიაშვილმა. მისალოცი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მარნეულის საწარმოო აღმასკომის კულტურის, განათლების და ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ალიევი და სკოლა-ინტერნატის მე 10 კლასის მოწაფე მამედოვი აილინი.

მუსტაფა მარდანოვმა თქვა, რომ მისი ნამდვილი სამშობლო საქართველოა, იგი აქ დაიბადა და აღიზარდა, აქვე დაიწყო მოღვაწეობა. მსახიობმა მადლობა გადაუხადა მარნეულის ხელისუფლების წარმომადგენლებს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას და მარნეულის მშრომელ მოსახლეობას გულთბილი შეხვედრისათვის. საღამოს მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო თვით იუბილარმა და აზიზბეკოვის სახელობის თეატრის მსახიობებმა, აზერბაიჯანის დამსახურებულმა არტისტებმა ა. რბაევმა, ა. ბასირზადემ და ა. ალიევამ. მათი მონაწილეობით გათამაშებულ იქნა სცენები ჯაფარ ჯაბარლის პიესა „ოლმაზიდან“, ს. რახმანოვის პიესა „ბედნიერიდან“ და ჯ. ჯაბარლის პიესა „დამქნარი ყვავილებიდან“.

შემსპირი ქართულ საბჭოთა ცენზაზე

1. „ანტონიოს და კლეოპატრა“, თარგმანი ი. მაჩაბლის. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ვ. ტაბლიაშვილის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ი. სუმბათაშვილი, კომპოზიტორი საქ. სსრ სახ. არტ. ა. ქერესელიძე პრემიერა 1951 წლის 6 მარტს.
 - ა) კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. დადგმა რ. ჭიაურელის, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამ. მოლ. ა. ჩორგოლაშვილი. პრემიერა 1950 წ. 27 დეკემბერს.
 - ბ) მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ს. ჭელიძის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. დ. თავაძე. მუსიკალური გაფორმება ი. ბობოხიძის. პრემიერა 1964 წლის 7 მაისს.
 - გ) სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ქართული დრამა. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ვ. ჟურულის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. მოლ. ნ. ყაზბეგი. მუსიკა ა. პოზდნევის. პრემიერა 1946 წლის 8 ივნისს.
2. „აურზაური არაფრის გამო“, თარგმანი გ. ვაჩეჩილაძის.
 - ა) კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ე. იოსელიანის, მხატვარი საქ. სსრ სახალხო მხატვარი ე. ახვლედიანი, კომპოზიტორი ს. ნასიძე. პრემიერა 1963 წლის 29 ნოემბერს.
 - ბ) სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ქართული დრამა დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ს. ჭელიძისა, მხატვარი სემირჯანოვი, მუსიკა იუ. სლონოვისა. პრემიერა 1943 წლის 14 ნოემბერს.
3. „ვინძორის მხიარული ქალები“ თარგმანი ე. ორბელიანის შ. რუსთაველის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახალხო არტისტის კ. მარჯანიშვილისა და საქ. სსრ სახ. არტ. ა. ახმეტელის, მხატვარი მ. დომრაჩოვი, მუსიკა ნიკოლაის. პრემიერა 1924 წლის 20 ნოემბერს.
4. „ზაფხულის ღამის სიზმარი“, თარგმანი ვ. ჭელიძის. შ. რუსთაველის სახელობის თეატრი დადგმა საქ. სსრ სახალხო არტ. თემანიშვილის, მხატვარი საქ. სსრ დამს. მოლ. დ. თავაძე, კომპოზიტორი ს. ნასიძე. პრემიერა 1964 წლის 23 აპრილს.
5. „მაკბეტი“ თარგმანი ი. მაჩაბელის. შ. რუსთაველის სახ. თეატრი დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. მ. ქორელისა. მხატვარი საქ. სსრ დამს. მოლ. ვ. სიდამონერისთავი, პრემიერა 1923 წლის 19 აპრილს.
6. „მეთორმეტე ღამე“ თარგმანი ს. ფაშალიშვილისა.
 - ა) კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. დადგმა რ. ჭიაურელის, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამ. მოლ. ა. ჩორგოლაშვილი. პრემიერა 1950 წ. 27 დეკემბერს.
 - ბ) მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ს. ჭელიძის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. დ. თავაძე. მუსიკალური გაფორმება ი. ბობოხიძის. პრემიერა 1964 წლის 7 მაისს.
 - გ) სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ქართული დრამა. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ვ. ჟურულის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. მოლ. ნ. ყაზბეგი. მუსიკა ა. პოზდნევის. პრემიერა 1946 წლის 8 ივნისს.
7. „მეფე ლირი“, თარგმანი ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძის.
 - ა) შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. დადგმა სსრკ სახ. არტ. ა. ვასაძის, მხატვარი საქ. სსრ სახალხო მხატვარი, ს. ქობულაძე, კომპოზიტორი საქ. სსრ სახ. არტ. ა. ბალანჩივაძე და სსრკ სახ. არტ. ა. მაჭავარიანი. პრემიერა 1948 წლის 29 დეკემბერს.
 - ბ) ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. დ. ანთაძის, მხატვარი პროფ. კაკაბაძე, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. კ. მელენიენთუხუცესი. პრემიერა 1941 წლის 30 აპრილს.
8. „ოტელო“, თარგმანი ი. მაჩაბლისა.
 - ა) შ. რუსთაველის სახელობის თეატრი დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. ა. ფავაგასი, მხატვარი ა. ზალცმანი. 1923 წლის 6 თებერვალს, (ეს დადგმა ა. ფავაგამ განახორციელა 1920 წელს ამავე თეატრში).
 - ბ) შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. შ. აღსაბაძის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ირ. გამრეკელი, კომპოზიტორი საქ. სსრ სახ. არტ. ი. ტუსკია. პრემიერა 1937 წლის 1 ოქტომბერს.

გ) კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი საქ. სსრ დამს. მოღ. ნ. გოძიაშვილი. მხატვარი საქ. სსრ სახალხო მხატვარი ე. ახვლედიანი, კომპოზიტორი ხელ. დამს. მოღვ. კ. მეღვინეთუხუცესი. პრემიერა 1932 23 ნოემბერს.

1933 წლის 27 დეკემბერს დადგმა განახლებული იქნა საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ნ. გოძიაშვილის მიერ. მხატ. პ. ოცხელი.

დ) სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ქართული დრამა. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ს. ჭელიძის, მხატვარი—საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი პ. კორენიაკი. დაიდგა 1939—40 წ. წ. განმეორებით დაიდგა 1956 წ. 7 იანვარს საქ. სსრ სახ. არტ. ლ. ჭელიძის მიერ, მხატვარი, საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი საქ. სსრ სახ. არტ. ი. ტუსკია.

ე) ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. დ. ანთაძის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. კ. სანაძე, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამს. მოღვ. თ. ვახვახიშვილი. პრემიერა 1938 წელი 29 დეკემბერს.

ვ) ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი, დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. გ. ლორთქიფანიძისა, მხატვარი დ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი—საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. შ. მილორავა. პრემიერა 1937 წლის 16 აგვისტოს.

ზ) აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. პ. ფრანგიშვილის, 1924—25 წლ. სეზონი.

თ) ილ. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრი. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ვ. ტაბლიაშვილი, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ი. ასკურავა, კომპოზიტორი ფ. ლლონტი. პრემიერა 1959 წ. 12 დეკემბერს.

ი) ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის თეატრი. დადგმა საქ. სსრ დამს. არტ. ნ. მაჭავარიანის, მხატვარი—კ. ჭანკვეტაძე. კომპოზიტორი საქ. სსრ სახ. არტ. ი. ტუსკია. პრემიერა 1938 წლის მაისი.

9. „რიჩარდ III“ თარგმანი ი. მაჩაბლის.

ა) კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. ვ. ყუშიტაშვილის, მხატვარი საქ. სსრ დამს. მოღ. ი. სუმბათაშვილი, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. კ. მეღვინეთუხუცესი. პრემიერა 1957 წლის 30 აპრილს.

ბ) ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი. დადგმა სსრკ სახ. არტ. აკ. ვასაძის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი სსრკ სახ. არტ. ა. მაჭავარიანი. პრემიერა 1962 წლის 26 მაისს.

10. „რომეო და ჯულიეტა“, თარგმანი ვ. ჭელიძისა.

ა) კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ვ. ტაბლიაშვილის; მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ი. სუმბათაშვილი, კომპოზიტორი—საქ. სსრ სახ. არტისტი ა. კერესელიძე. პრემიერა 1949 წლის 4 თებერვალს.

ბ) 1962 წლის 2 ივნისს დადგმა განახლებული იქნა საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ვ. ტაბლიაშვილის მიერ, მხატვარი მ. ნასიძე და დ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი საქ. სსრ სახ. არტისტი ა. კერესელიძე.

გ) მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. თარგმანი ს. წერეთლისა. დადგმა სსრ სახ. არტ. ა. თაყაიშვილის, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამს. მოღ. ო. ბარამიშვილი. პრემიერა 1942 წლის 27 მარტს.

დ) სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ქართული დრამა. თარგმანი ს. შანშიაშვილისა. დადგმა ვ. გარრიკის მხატვარი დ. მირიანაშვილი, მუსიკა პ. კორენიაკის. პრემიერა 1936 წლის 30 ნოემბერს.

ე) სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ქართული დრამა, თარგმანი ვ. ჭელიძის, დადგმა ლ. მირცხულავასი. მხატვარი ე. კოტლიაროვი, მუსიკალური გაფორმება მ. ბერეკაშვილისა. პრემიერა 1964 წლის 10 მაისს.

11. „ჭირვეულის მორჯულება“ თარგმანი ს. ფაშალიშვილისა.

ა) კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ დამს. სსრ სახ. არტ. შ. ლამბაშიძისა, მხატვარი საქ. სსრ დამს. მოლ. ი. შტენბერგი, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. კ. მეღვინეთ-უხუცესი. პრემიერა 1944 წლის 19 თებერვალს.

ბ) მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. ა. თაყაიშვილის. მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ო. ბარათაშვილი. პრემიერა 1942 წლის 31 დეკემბერს.

გ) აკ. წერეთლის სახელობის ქიათურის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. პ. ფრანგიშვილი. დაიდგა 1936—37 წ.წ. სეზონში.

დ) ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის თეატრი. დადგმა ვ. გარბიკის, მხატვარი კ. ჭანკვეტაძე, დაიდგა 1932—33 წ. წ. სეზონში.

ე) გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტისტის პ. ფრანგიშვილისა და ა. მალაკელიძის, მხატვარი საქ. ხელ. დამს. მოლ. თ. თავაძე. დაიდგა 1942—43 წწ. სეზონში.

ვ) ვ. გუნიას სახელობის ფოთის თეატრი. დადგმა საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. გ. ვაბუნიასი, მხატვარი—დ. მი-

რიანაშვილი, კომპოზიტორი ვ. შავერ-ზაშვილი. პრემიერა 1951 წლის 10 დეკემბერს.

12. „შამღეტი“ თარგმანი ი. მაჩაბლისა.

ა) შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტ. ა. ფაღვასი, დაიდგა 1923 წლის 23 მაისს.

ბ) შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტისტი კ. მარჯანიშვილის და საქ. სსრ სახ. არტისტი. ა. ახმეტელისა, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ი. გამრეკელს, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. თ. ვახვახიშვილი, პრემიერა 1925 წლის 12 თებერვალს.

გ) შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტისტის დ. ალექსიძისა, მხატვარი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელ. დამს. მოლ. ა. ჩიმაკაძე. პრემიერა 1960 წლის 24 თებერვალს.

დ) ილ. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრი. დადგმა საქ. სსრ სახ. არტისტის ა. ჩხარტიშვილისა და საქ. სსრ დამს. მოლ. შ. ინასარიძის. მხატვარი გ. ცენტერაძე, კომპოზიტორი ი. გეჯაძე. პრემიერა 1957 წლის 27 დეკემბერს.

1964 წლის მეორე კვარტალში

ჟურნალ „მოამბის“ მეორე ნომერში გაშუქებულ ღონისძიებათა გარდა, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარა კიდევ სხვადასხვა სახელმწიფო და სახალხო თეატრებში მოხსენებები შექსპირის „ცხოვრებასა და შემოქმედებაზე“, „შექსპირი ქართულ სცენაზე“ და სხვა, მაგალითად, მარჯანიშვილის სახ. თეატრში (მომხს. დოც. ნ. ყიასაშვილი), სოხუმის თეატრში (მომხს. ხელოვ. დამსახ. მოღვაწე შ. აღსაბაძე), სამტრედიისა და ზესტაფონის სახალხო თეატრებში (მომხს. ხელ. დამს. მოღვაწე ნ. გოძიაშვილი) და სხვაგან.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ თბილისის თეატრების მუშაკებს მოუთხრო შექსპირის მემორიალური თეატრის სავასტროლო (მოსკოვში) სპექტაკლების „მეფე ლირის“ და „შეცდომათა კომედიის“ შესახებ, ვ. სეჩინმა თბილისის თეატრის მუშაკთა აქტივზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „შთაბეჭდილებანი თბილისის თეატრების სპექტაკლებზე“ და სხვა.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო სესიის მუშაობაში. აქ დოც. ნ. ყიასაშვილმა

წაიკითხა მოხსენება თემაზე. „შექსპირისმცოდნეობა თანამედროვე ეტაპზე“.

გრიმის ოსტატმა მ. დედანაშვილმა ყვარლისა და ხულოს სახალხო თეატრების კოლექტივებში წაიკითხა მოხსენებები: „გრიმი სპექტაკლში“ და „გრიმის ტექნოლოგია“.

ამავე პერიოდში განხილულ და მიღებულ იქნა სპექტაკლები: ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში „მინდია“ (ვ. კიკნაძე), ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრში— „მოგზაურობა სამ დროში“ (გ. ციციშვილი), გრიბოედოვის სახ. თეატრში „ანა ფრანკის დღიურები“ (ვ. სეჩინი), ფოთის სახელმწიფო თეატრში „საჭიროა მატყუარა“ და „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“ (მომხს. ი. მაისურაძე), ბათუმის თეატრში „ოტელო“ (შ. აღსაბაძე), ყვარლის სახალხო თეატრში „სად იყო ჭკუა“ (ელ. კვიციანი), ხულოს სახალხო თეატრში „ვაზის ტირილი“ (მომხს. მ. დედანაშვილი). თბილისის გორკის სახ. კულტურის სახლში „ახალგაზრდა მასწავლებელი“ (დ. ჩხეიძე) და სხვა.

ამასთანავე ერთად ჩატარდა ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების ფოტო გადაღება (გადამღები მიხ. პრაშკერი) და სხვა.

КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Вечная дружба деятелей искусств Закавказья (передовая)

Дружба народов Закавказья имеет многовековую историю. Она еще более окрепла в годы советской власти. Стали традиционными встречи деятелей искусств братских республик Грузии,

Армении, Азербайджана. В статье дается краткий отчет о пленуме ТЕО Закавказских республик в Ереване, на котором обсуждались насущные вопросы советского театра и драматургии.

Научная сессия, посвященная Шекспиру

Все прогрессивное человечество торжественно отметило 400 летие со дня рождения великого английского драматурга, Вильяма Шекспира. Этой замечательной дате была посвящена научная сессия, организованная ТЕО и союзом писателей Грузии. В номере печатается отчет об этой сессии, на которой были прочитаны доклады: „Жизнь и творчество Шекспира“ — проф. Г. Гачечиладзе, „Катарзис Арис-

тотеля и трагедия Гамлета“ доц. Ф. Гокхели., „Шекспироведение на современном этапе“ доц. Н. Киасацвили, „Шекспир в дореволюционной Грузии“ — театроведа Л. Гугунава, „Шекспир в грузинском советском театре“ — реж. М. Гижимкрели; „Шекспир и Мачабели“ — писателя В. Челидзе и Шекспир в балете, — канд. искусствоведения Э. Гугуливи.

На родине кобзаря

150 летию со дня рождения Т. Г. Шевченко был посвящен юбилейный пленум ТЕО Украины, в работе которого приняли участие представители

многонациональной семьи советских народов. В номере напечатана корреспонденция из Киева о шевченковских днях на родине Кобзаря.

Пленум театральных работников Закавказья

В журнале печатается корреспонденция из Еревана о состоявшемся там пленуме театральных работников Закавказья, посвященном итогам про-

шедшего театрального сезона и состоянию армянской, грузинской и азербайджанской драматургии после знаменательной встречи руководителей пар-

тии и правительства с деятелями литературы и искусства.

Об актуальных вопросах современной драматургии и театра на пленуме говорили—Министр Культуры Армении А. Шагинян, секретарь Союза писателей Грузии, критик В. Жгенти и канд. филологических наук. Е. Караев. Было высказано пожелание, чтобы основой творческого содружества театров республик Закавказья стал об-

мен пьесами и режиссерскими силами.

В прениях выступили арм. театр. критик С. Арутюнян, директор Азербайджанского русского драматического театра—С. Якуцев, засл. деят. искусств ГССР О. Эгадзе и др. В резолюции пленума были намечены дальнейшие мероприятия по расширению творческих контактов деятелей искусств Закавказья.

Первая научная сессия методсовета по сценической речи

Журнал печатает статью, в которой дается подробный отчет о первой научной сессии Методсовета по сценической речи, организованного при ТГО Грузии. В своих выступлениях члены методсовета охарактеризовали состояние грузинской сценической речи, осветили вопросы произношения, диалектизм, отклонений от авторского текста и сделали ряд ценных практических предложений.

На сессии были прочитаны доклады: акад. Г. Ахвледиани—„Орфоэпия грузинского литературного языка и сценическая речь“, проф. Ш. Дзидзигури—„Язык драматического произведения“,

доктора искусствоведения Д. Джанелидзе—„Из истории грузинской сценической речи“ и доц. М. Мрелишвили—„Некоторые теоретические предпосылки грузинской сценической речи“.

Участниками сессии были прослушаны магнитофонные записи образцов сценической речи грузинских актеров. В прениях приняли участие—нар. арт. СССР В. Анджапаридзе и А. Васадзе, нар. арт. ГССР Ц. Амираджиби и Д. Мchedлидзе, критик В. Жгенти, акад. В. Топурия, языковед И. Майсурадзе, драматурги Р. Коркия и С. Мтварадзе.

90—летие со дня рождения В. Шаликашвили

Театральная общественность Грузии торжественно отметила 90-летие со дня рождения выдающегося деятеля дореволюционного грузинского театра, актера, режиссера, драматурга и театрального критика В. Шаликашвили.

В корреспонденции из Ланчхути рассказывается о состоявшемся там вечере памяти В. Шаликашвили, организованном ТГО Грузии и отд. куль-

туры Ланчхутского райисполкома. В своем докладе о жизни и творчестве В. Шаликашвили, доктор искусствоведения Д. Джанелидзе отметил многогранность творческих способностей В. Шаликашвили. С воспоминаниями о мастере сцены выступили Ц. Амираджиби, Вик. Нинидзе, Ш. Хонели и П. Прангшвили.

Юбилейный вечер Г. Давиташвили в Батуми

Общественность г. Батуми чествовала своего земляка, нар. арт. Грузии, Георгия Давиташвили. В корреспонденции из приморского города распе-

кается о состоявшемся там юбилейном вечере, посвященном 70 летию со дня рождения и 50 летию сценической деятельности Г. Давиташвили. О по-

ლუვეკოვской творческой деятельности актёра присутствующим рассказала театровед Н. Швангирадзе. Указом Верховного Совета Аджарской АССР

Г. М. Давиташвили награжден почетной грамотой Верховного Совета Аджарской АССР.

Творческий вечер Цацы Амiredжиби

В связи с 75-летием со дня рождения и 50-летием сценической деятельности нар. арт. Республики Цацы Георгиевны Амiredжиби, состоялся творческий вечер талантливой актри-

сы. В номере печатается корреспонденция об этом вечере, в котором приняли участие писатели, театральные и кинодеятели Грузии.

Вечер памяти У. Чхеидзе в Зестафони

Под таким заголовком журнала печатает корреспонденцию из Зестафони о состоявшемся там вечере, посвященном 10-годовщине со дня смерти замечательного грузинского актёра, нар. арт. ГССР У. Чхеидзе. С докладом о жизни и творчестве актёра, создателя многих блестящих сценических об-

разов, выступил критик В. Жгенти. С воспоминаниями о У. Чхеидзе выступили В. Анджапаридзе, Д. Чхеидзе, О. Эгадзе, Д. Джанелидзе, А. Кванталиани, Т. Сахварелидзе и др.

Постановлением Совета Министров ГССР, Зестафонскому городскому Дому Культуры присвоено имя У. Чхеидзе.

Творческий вечер Л. Чедиа

Журнал печатает корреспонденцию из Сухуми о состоявшемся там творческом вечере нар. арт. Грузинской ССР и Абхазской АССР Л. Д. Чедиа, поздравить которого в связи с 60-ле-

тием со дня рождения и 40-летием театральной деятельности приехали гости из Тбилиси и других городов республики.

Творческий вечер Г. Абрамашвили

В журнале напечатана также корреспонденция из Гори, о состоявшемся там творческом вечере главного режис-

сера Горийского драматического театра Георгия Абрамашвили.

Творческий вечер Давида Джавришвили

Имя театрального хореографа Д. Джавришвили очень популярно в Грузии. Театральная общественность Грузии тепло отметила 70-летие со дня его рождения. В корреспонденции рассказывается о творческом вечере Д. Джавришвили, посвященном этой славной дате в жизни блестящего поста-

новщика, знатока и пропагандиста грузинского танца. С докладом о жизни и творчестве хореографа выступил О. Эгадзе. Юбиляра приветствовали деятели просвещения и культуры, представители общественных и спортивных организаций Грузии.

СО Д Е Р Ж А Н И Е

	სტ.
<i>Вечерная дружба деятелей искусства Закавказья (передовая)</i>	3
<i>Научная сессия, посвященная Шекспиру</i>	5
<i>На родине Кобзара</i>	8
<i>Пленум театральных работников Закавказья</i>	10
<i>Первая научная сессия методсовета по сценической речи</i>	13
<i>90 летие со дня рождения В. Шаликашвили</i>	17
<i>Юбилейный вечер Г. Давиташвили в Батуми</i>	18
<i>Творческий вечер Пацы Амiredжиби</i>	20
<i>Вечер памяти У. Чхеидзе в Зестафони</i>	21
<i>Творческий вечер Давида Цхავришвили</i>	22
<i>Творческий вечер Л. Чедия</i>	23
<i>Творческий вечер Г. Абрамашвили</i>	24
<i>Юбилей М. Марданова</i>	25
<i>Шекспир на грузинской сцене</i>	27
<i>О деятельности Грузинского Театрального Общества за II-й квартал 1964 г. (хроника)</i>	30

ს შ ა ს მ

НА ПРАВАХ РУКОПИСИ:

თ ო გ
В Е С Т Н И К
 ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
 (на грузинском языке)
 Тбилиси—1964
 № 2 (28)

გადაეცა წარმოებას 11|VIII 1964 წ.

ხელმოწერილია დასაბუქდალ 1|VIII 1964 წ.

ფორმათა რაოდენობა. 2,5

საქართველოს თეატრალური საზ.ზის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 2526

УЭ 06484

Тираж 200

1
13/66.

